სახალხო გაზეთი

№ 877 ოთხშაბათი, 24 აპრილი 1913 წ. № 877

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ძმათა **გ. ე. და მ. ე. ფრიდონოვების** კანტორის მოხელეები ამით აუწყებენ ძვირფას

გრიგოლ იეგორის ძის ფრიდონოვის

უდროვოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის სადგომიდან (სერგიევის ქ. № 11) ოთხშაბათს, 24 აპრილს, დილის 10 ს. ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიაში. დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 243.

მნაცაკან იეგორის ძე ფრიდონოვი ღრმა და გულითადის სიმწუხარით იუწყება ძვირფას ძმის

გრიგოლ იეგორის ძე ფრიდონოვის

უეცრივ გარდაცვალებას. განსვენებული გარდაიცვალა 20 აპრილს. გამოსვენება ოთხშაბათს, 24 აპრილს, დილის 11 საათზე, განსვენებულის ბინიდან. წირვა-პანაშვიდი გადახდილი იქნება წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ნორაშენის ეკლესიაში, დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 242.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ბ. ბეგლარიძის წარმოდგენა. სუფშაბათს, 25 აპრილს, 1913 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ვასილ აბაშიძის** და **ვიქტორ გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა

მსხვერპლი

მოძრაობის დროის სცენები სოფლის ცხოვრებიდან 3 მოქმედებად. მეორე მოქმედებაში იმღერებს ქართველ მომღერალთა გუნდი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მიზან-სცენები **ვალ. შალიკაშვილისა.** რეჟისორი **ვალ. გუნია.** 1171

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 24 აპრილს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგ. იქნება მსახ. **ნ. გვარაძის** მონაწილეობით ცნობილი დრამა ებრაელთა ცხოვრებიდან

ებრაელები

4 მოქ. ჩირიკოვისა, თარგ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: **პიერეტტა**, მ. რომანიშვილისა და ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, **ნ. გვარაძე**, ს. თავდიშვილი, ა. კაკაბაძე, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, გ. ფრონისპირელი, მ. ქიაურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი და **თანამშრომელნი**.

ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს.** ✦ შემდეგი წარმოდგ. 28 აპრილს.
1160 რეჟისორი **ალ. წუწუნავა**. თანაშემწე ნ. **ჭანკვეტაძე**. ქ. ს. წ. მმარ. წ. აღ.

ქართული თეატრი

შაბათს, 27 აპრილს, 1913 წ. გაიმართება

= ქართული კონცერტი =

ტფილისის ფილარმონიული ქართული საზოგადოებისა.

I განყ. სიუიტა „ივერია“ მ. მ. იპოლიტოვ ივანოვისა, შეასრულებს „ახალი კლუბის“ გაძლიერებული ორკესტრი.

II განყ. მე-3 მოქმედება ქართული ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ ზ. პ. ფალიაშვილისა. ლიბრეტტო პ. მირიანაშვილისა.

III განყ. ა) ქართული ხალხური სიმღერები და solo ქალ-ვაჟთა ხოროსათვის და ორკესტრისათვის.
ბ) ნაწყვეტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

მონაწილეობას იღებენ: ქბ. კოლოტოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა. ბ. ბ. გოფმანი, დუგლი და აგასოვი. **ქართული ფილარმონიული საზოგადოების** გაძლიერებული ხორო და **ახალი კლუბის ორკესტრი**—ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ფასები საგენეფისოა

ბილეთების დაკვეთა შეიძლება კასაში. 1154.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფის მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.**	ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მალალაშვილი გ. გ.	სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა.	ყოველ დღე 12½— ს.
	ფედოროვი ე. გ.	ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1
	ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.**	სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.**	კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა.	ყოველ დღე 10—1.
	ფირალოვი რ. ბ.	ყოველ დღე 12— .
ქალთა და ს. მშობ. სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.**	ყოველ დღე 11—12.
	თოკანაძე ი. ე.	ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ.	ყოველ დღე 10— .
	სულაკოვი ა. ი.	ყოველ დღე — .
ბავშვთა სნეულებ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედ ბრიშვილისა**	ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½
	მიქელაძე შ. ა.	ყოველ დღე 12—1
	ფედოროვი გ. ს.	ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ. ა.**	შაბათობით 0—1.
	ჯავახიშვილი ნ. ნ.	ოთხშაბ., პარასკ. და კვირას 11—12
	ფონდოევი გ. ს.	ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.**	ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს.	ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.**	ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.**	ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი საპიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეევსათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას**

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“

ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კვაკვეში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **შესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

ფომინოვის კვირის განმავლობაში

სეზონიდან გადარჩენილი საქონელი

გაიყიდება ფრიად

დაკლებულ ფასებში.

სავაჭ. სახ. ძმ.

ა. და ა. მილოვებისა.

გოლოვინის პროსპ. საკადეტო კორპუსის პირდაპირ. 1165

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით** და **პნევმოტორაქსით**. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნ. პლ.**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ბუფეტი „სატივო“

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.
✦ **აზიური საჭმელები**
ახალის სანოვაგისა ✦

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის.
ფასები ძლიერ ზომიერია. 1114

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, ს ხლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

არსდება

ტფილის. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობ. გუნდი
მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით.
მიღება და ჩაწერა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, ს. ღ. 5—7 საათამდე. 1129

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი ioსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **ხაშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სამოქალაქო ბანკის პირდაპირ. 102

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი კბილის **ა. გ. ხოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ხიზნობა და ჟურნალი „კლდე“

როდესაც პირველად ჩამოვაგდეთ ხიზნობაზე ლაპარაკი და, სხვათა შორის, აღვნიშნეთ „კლდის“ პოზიცია, ეს უკანასკნელი ჩვენი უკმაყოფილო დარჩა: „სახალხო გაზეთმა“ ისეთი აზრები მოგვაწერა, რაც გულშიაც არ გაგვიტარებიაო. ჩვენის წარმოდგენით, ჟურნალ „კლდე“ ხიზნების საკითხში შემცდარ პოზიციაზე სდგას და ძალიან აზვიადებს ეროვნული ელემენტის მნიშვნელობას ამ საკითხში. ხიზნობა უპირველესად ყოვლისა სოციალური მოვლენაა და ეროვნულად იქცევა იმდენად, რამდენადაც განთავისუფლებული და ეკონომიურად მოღონიერებული ხიზანი ეროვნულ ღირებულებას წარმოადგენს. ამიტომ, როდესაც ასეთი რთული და ამასთანავე დიდი ხნის მომწიფებული საკითხი სწყდება, ყველა განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოეპყრას მას და გარეშე რამ მოსაზრებებით ხელი არ შეუშალოს ბატონ-ყმურ ნაშთის ლიკვიდაციას, რაც საერთო ეკონომიურ აღორძინებასაც ხელს შეუწყობს.

ჟურნალი „კლდე“ კი, რომელიც გვედავებოდა, ოსების საფრთხის შესახებ ჩვენ არაფერი გვითქვამსო, ეხლა პირდაპირ აცხადებს თავის შეხედულებას ამ საგანზე და თავს არჩილ ჯორჯაძის ავტორიტეტს აფარებს.

„კლდე“-ს მოჰყავს გრძელი ამონაწერი არჩილ ჯორჯაძის წერილიდან, რომელშიაც იგი ფრიად საყურადღებო და ჩვენთვის დიდ-მნიშვნელოვან ტერიტორიალურ საკითხს ეხება, მაგრამ ამ წერილის შინარსს თავისებურად განმარტავს და ისეთ ტენდენციებს აწერს მას, რის წინააღმდეგაც მთელის თავის არსებით პროტესტს აცხადებს მთელი აზროვნება და ნათლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული პრინციპები განსვენებულისა.

მთელი აზრი იმ წერილისა, საიდანაც „კლდე“-ს ერთი ნაწყვეტი ამოუგლეჯია და საერთო შინაარსისთვის კი არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, იმას ამტკიცებს, რომ არჩილ ჯორჯაძეს ტერიტორიის საკითხი მწვავე საკითხად მიაჩნია. გარემოებამ, და განსაკუთრებით კი ბიუროკრატიის პოლიტიკამ, საქართველო ისეთს პირობებში ჩააყენა, რომ მის ადგილობრივ მკვიდრთ, ქართველებს, თავიანთ მიწა-ადგილიდანა ჰყრის უცხო ელემენტი. ბიუროკრატიამ რკალივით შემოავლო გადმოსახლებულები საქართველოს ტერიტორიას და თვით საქართველოშიაც, საგლეხო ბანკის შემწეობით, ისეთი პოლიტიკა განავითარა, რომელსაც ძალიან ცოტა კავშირი აქვს ადგილობრივ მცხოვრებ უმიწაწყალო გლეხთა მოწყობასთან.

ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას არჩილ ჯორჯაძე და, თითქოს იცოდა, შეიძლება ვინმემ ჩემი აზრი სხვანაირად გაიგოსო, ხაზ-გასმით დასძენს: „ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წინააღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკის აზრი გვაფრთოვანებს. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია იმიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქმნას თანახმად სამართლიანობისა. ჩვენ გვინდა დაუკარგოთ ემიგრაცია—იმიგრაციას სტიქიური ხასიათი და ამასთან გვინდა, რომ იგი გაბატონებულ ბიუროკრატიის ხელში პოლიტიკის იარაღად არ იყოს“.

რაიცა შეეხება კერძოდ ოსებს, მართალია, არჩილ ჯორჯაძე სწერს—ოსებმა დროებით ვალდებული გლეხების მიწები დაიჭირეს და საზოგადოდ მკვიდრად მოიკიდეს ფეხი საქართველოს ტერიტორიაზე,—მაგრამ განა ეს გარემოება ნებას გვაძლევს, არჩილ ჯორჯაძეს ისეთი შეხედულება მივაწეროთ ხიზნობის საკითხზე, რანაირსაც დღეს „კლდე“ იცავს?

ტერიტორიის საკითხით ჩვენ ჯერ ისევ მაშინ დავინტერესდით, როდესაც ჟურნალი „კლდე“ გამოჩეკილი არც კი იყო. დღესაც მტკიცედ ვადგევართ იმ აზრს, რომ ტერიტორიის შენარჩუნების საკითხი მწვავე საკითხია, მაგრამ საშუალებანი ამ ტერიტორიის შენარჩუნებისა ბევრნაირია და აი სწორედ ამ საშუალებათა გამოძებნის დროს არ უნდა დავივიწყოთ ის უმაღლესი იდეალი, რომელიც ყოველი ჩვენი პრაქტიკული ნაბიჯის კრიტერიუმად უნდა გადაიქცეს.

ამ საკითხის გადაწყვეტა ორგანიულად არის დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ გვესმის საზოგადოდ საქართველოს მომავალი და რაში ვხედავთ ქართველ ხალხის განვითარების გარანტიას. შეიძლება ჩვენ შევითვისოთ აზროვნება ყველა გაბატონებული ეროვნებისა და მათსავით ვსთქვათ, საქართველო ქართველებისათვის უნდა იყოსო. მაშინ მთელი საქართველო სამხედრო ბანაკად უნდა წარმოვიდგინოთ და ყველა პატარ-პატარა, საქართველოში დასახლებული, ერები—მტრებად, რომელთანაც მუდმივ ბრძოლაში უნდა იყოს ქართველი ხალხი. თუ ამ გზას დავადგებით და ზემოხსენებულ დებულებას გავიხდით სახელმძღვანელოდ, ლოღიკურად უნდა განვავითაროდ ეს დებულება და გავამართლოთ ყოველ-გვარი ზომა, რომელიც კი მიმართული იქნება ყველას წინააღმდეგ, ქართველთა ბატონობის გასაძლიერებლად. კანონმდებლობა, ადმინისტრაცია, სკოლა,—ერთის სიტყვით ყოველ-ნაირი გამოხატულება სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, მთელი სახელმწიფო მექანიზმი უნდა ამუშავდეს იმისთვის, რომ საქართველოში მცხოვრებ პატარა ერთა უფლებები შეიზღუდოს და ქართველი ხალხი **ხელოვნურად** გაბატონდეს მათზე. ეს ერთგვარი გადაწყვეტაა საკითხისა. როგორც ვსთქვით, ეს არის შეხედულება ყველა გაბატონებული ერის კონსერვატიულ-ნაციონალისტური ელემენტებისა. რუსეთში ჩვენს თვალწინ იფურჩქნება და მაგრდება ეს აზროვნება, მაგრამ აქაც კი პროგრესიული აზროვნება ენერგიულ პროტესტს აცხადებს მის წინააღმდეგ და სულ სხვანაირ პირობების დამყარებითა ჰსურს, როგორც რუსეთის სიძლიერის განმტკიცება, ისე საყოველთაო სამართლიანობის დამყარება.

მეორე შეხედულება შეიძლება იყოს ასეთი. საქართველო ქართველებისთვის კი არ უნდა იყოს, საქართველო უნდა იყოს ყველა იმისთვის, ვინც საქართველოში სცხოვრობს, მისი მომავალი სწამს და დარწმუნებულიცაა, რომ საქართველოს ბედნიერება მისი ბედნიერებაც იქნება. საქართველოს პოლიტიკური იდეალი საქართველოში მცხოვრებ ერთა საერთო იდეალი უნდა იყოს. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა დარწმუნებული იქნება, რომ მტრად კი არ არის აღიარებული, არამედ საქართველოს სრულუფლებიან წევრად, რომელიც ქართველებთან ერთად უნდა იყოს დაინტერესებული საქართველოს საერთო განახლება—განვითარებაში. როგორ შეგვიძლიან ამ მიზანს მივაღწიოთ? მხოლოდ ისეთი მუშაობით, რომელიც სიკეთესა ჰმატებს არა მარტო ქართველებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ერებს. ასეთი მუშაობა კი მხოლოდ ფართო დემოკრატიული და სოციალური შეიძლება იყოს. საქართველოს და კერძოდ ქართველი ხალხის ბედნიერების გარანტიას მხოლოდ ამაში ვხედავთ.

მაგრამ, ამისდა დამოუხედავად, ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ სხვა და სხვა ერთა შორის სწარმოებს ბრძოლა სოციალურ ნიადაგზე, რომელსაც ეროვნული მნიშვნელობაცა აქვს. ადვილად შეიძლება ჩვენში შემოიჭრას ისეთი ელემენტი, რომელიც ორგანიულად არ არის დაკავშირებული საქართველოსა და მის პოლიტიკურ

მომავალთან. ამისთანა ელემენტებთან საჭიროა სათანადო ბრძოლა; საშუალებანიც ბევრნაირია. საერთო ეკონომიური აღორძინება, მიწების მობილიზაციის სასურველი მიმართულება, სათანადო საკრედიტო დაწესებულებების მეოხებით და სხვა. ყველა ეს საშუალებანი ნებას გვაძლევს ტერიტორიის შენარჩუნების საქმე მკვიდრს ნიადაგზე დავაყენოთ. ისეთი ერები კი, რომელნიც ისტორიულად ჩვენს ქვეყანაში სცხოვრობენ და საქართველოს შესდულებიან სოციალ-პოლიტიკურად, მიუხედავად ეროვნულ განსხვავებისა, ჩვენ ვერ შეგვიძლიან უცხოელთა კატეგორიაში ჩავრიცხოთ და საქართველოს საერთო ინტერესებისა და მზრუნველობის გარეშე დავაყენოთ.

მაგრამ, ყველა ესეც რომ მართალი იყოს, შიში გაზვიადებულად მიგვაჩნია.

ქართველი ხალხის ეკონომიური განვითარება, მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, შესამჩნევად წინ მიდის. იბადება ახალი სოციალური ჯგუფები, რომელნიც ეკონომიურ კონკურენციის სარბიელზე გამოვლენ და თავისი საკუთარი ძალ-ღონითაც შესძლებენ გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგეთ. ეს რწმენა რომ არა გვქონდეს და რეალური სინამდვილე საბუთს რომ არ გვაძლევდეს რწმენისას, იძულებული გავხდებოდით. იარაღი დაგვეყარა და თავი ბრმა სტიქიონისთვის მიგვეცა.

უნდა შევეცადოთ ქართველი ხალხის ეკონომიურ მოღონიერებას, და მაშინ იგი შესძლებს როგორც არსებულის შენარჩუნებას, ისე დაკარგულის დაბრუნებას. ქართველებისთვის საჭიროა არა ხელოვნური ზომები, სხვა ერებზე უპირატესობის განსამტკიცებლად, არამედ ისეთი **პოლიტიკური** პირობები, როდესაც მის ეკონომიურ და კულტურულ ძალთა განვითარებას წინ აღარაფერი გადაეღობება; თუ ასეთი **პოლიტიკური** პირობები დამყარდა, **სოციალურად** იგი ყოველთვის მოახერხებს, მექანიკურ საშუალებათა დაუხმარებლად, თავის უპირატესობის შენარჩუნებას.

დღეს კი „კლდე“ გვირჩევს, მოუსპეთ ოსებს საშუალება ადამიანურ არსებობისა და მათთან ერთად მოუსპეთ ასეთივე უფლება **ქართველ** ხიზნებს, რადგანაც იგი ქართული ეროვნული იდეალისთვის საფრთხეს წარმოადგენსო. ერთვნული იდეალის საფრთხეს წარმოადგენს შეჩერება სოციალურ რეფორმებისა, რომელიც ქართველ ხალხს საშუალებას აძლევს ეკონომიურ კონკურენციის სარბიელზე გამოვიდეს. საფრთხეს წარმოადგენს კონსერვატიული აზროვნება და თავად-აზნაურული ფსიხოლოგია „კლდის“ ჯურის „პროგრესიული ახალგაზდობისა“, და არა ის ხიზნები, რომელნიც მეოცე საუკუნეში ისევ ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნაშთის საშინელებას განიცდიან.

მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. ვსთქვათ, „კლდე“ ცამდის მართალია. რა პასუხს აძლევს ჟურნალი „კლდე“ იმ ქართველ ხიზნებს, რომლებიც, თუ „პროგრესიული ახალგაზდობის“ ექსპერიმენტებს დაუჯერებენ და მათის რჩევის მიხედვით მოიქცევიან, იძულებული გახდებიან ატარონ მძიმე უღელი ხიზნობისა მხოლოდ იმიტომ, რომ ოსებიც ღმერთმა ხიზნებად გააჩინა? **ბრ. ჯ—შვ·ლ.**

ნარკვევი

სახელმწიფო სათათბიროს წევრი რუსანოვი საზარელ სურათს გვიხატავს შორეულ აღმოსავლეთის ადგილობრივ მმართველობის პოლიტიკისას. იმ განაპირა ქვეყანაში პირდაპირ მხეცური გამარუსებელი პოლიტიკა დამკვიდრდაო. ის ნაწილი ჩინელებისა, რომელნიც გაჭირვებამ შემორეკა რუსეთის სამფლობელოში, განიცდის ათასგვარ შევიწროებას, განიცდის წარმოუდგენელს დაცინვასა, ძალმომრეობას. თითქოს განზრახ ჰსურს იქაურ ადმინისტრაციას, თითქო საგანგებო მიზანი დაუსახავს—რაც შეიძლება უფრო დაამციროს ჩინელი, რაც შეიძლება მეტად შეულახოს მისი ეროვნული გრძნობა. „ყვითელ საფრთხის“ სახელით ადგილობრივი პოლიტიკანები კარიერას იკეთებენ; „ყვითელი საფრთხე“ გახდა მათ კერძო ინტერესების დაკმაყოფილების საფუძვლად. როგორც წესია, ამასთანავე „ყვითელ საფრთხეზე“ სჯა-ბაასი აკრძალული აქვს ადგილობრივ პრესსას... ისეთი ატმოსფერა გამეფდა შორეულს აღმოსავლეთშიო, განაგრძობს რუსანოვი, რომ თითქოს განზრახ ცდილობს ვიღაც, უღრმესი სიძულვილი რუსებისადმი ჩაუნერგოს ჩინელთ. მათი უფლებრივი მდგომარეობა აუტანელია. ჩინელი იხდის კანონიერს დ ყოველგვარ უკანონო გადასახადს; რაც გინდა ბოროტმოქმედება მოხდეს, უეჭველად ჩინელთ გადააბრალებენ დ ყოველგვარ შეურაცხყოფას შემდეგ ახდევინებენ „ჯარიმას“ თავის და არა დაზარალებულის სასარგებლოდ. ჩინელი რომ ხვდება ქუჩა მი რუსს, როგორც ჟამიანისაგან ისე გარბის შორს, თავს არიდებს; თუ თავი არ მოარიდა, ან გაძარცული იქნება, ან საზარლოდ გალახული და დამცირებული. ასეთ ყოფაში ჩინელს არავინ დამცველიც არა ჰყავსო: არც სასამართლოს სცალიან მისთვის, არც უმაღლეს მთავრობასაო. რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთ პოლიტიკასაო, ჰკითხულობს რუსანოვი დ ამბობს: „ყვითელ საფრთხეს“, რომელიც წინად არ არსებობდა, რუსეთის პოლიტიკა ჰქმნის. საშიში ის 60 ათასი ჩინელი-კი არაა რუსეთისათვის, რომელნიც მუშაობენ დ ჰქმნიან შორეულ აღმოსავლეთის კულტურას, სიმდიდრეს, არამედ საშიში არიან ის მმართველნი, ის რუსები, რომელნიც სთესენ სიძულვილს ყველა არა-რუსის გულში. სანამ დროა კიდევ, ამ გარემოებას უნდა დავუფიქრდეთ, თორემ რუსეთის წინააღმდეგ ისეთი მძულვარება იზრდება და ძლიერდება, რომ ვეღარაფრით ვერ ვუშველით სახელმწიფოს“.

საფრთხე სწორედ აქ არის...

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გვირილობა.** ყველა ყულაბის გახსნა და ფულის დათვლა 22 აპრილის, ნაშუადღევის 4 საათზე, დასრულდა. შეწირულ ფულიანად სულ შეგროვდა 15,687 მან. 6 კ., რომელიც შესანახად იმავ დღეს გაიგზავნა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში.

◆ ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილი **სავალდებულო დადგენილება,** რომლითაც ტრამვაის დირექცია მოვალეა, ქუჩების ის ადგილი, სადაც ტრამვაის ლიანდაგი აგია, თავის ხარჯით დაასუფთაოს.

◆ **მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა** 1,250 მან. გადასდო ჯიშიან შინაურ ფრინველთა მომშენებელ სადგურისთვის, რომელიც კავკასიის საბრეშუმო სადგურთან არსებობს.

◆ **წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელმა საზოგადოებამ** აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა შეიმუშაოს წყალში ბანაობის წესები წყალში დახრჩობათა შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

◆ ტფ. **ბაზარზე** სურსათ-სანოვაგის ფასმა დაიწია. ბატკნის ხორცი გირვანქა იყიდება 20—25 კ., სუკი—25 კ., ჰქინტი ყველი ცხვრისა—12—13 კ. მოზრდილი კიტრი—7—10 კაპ., მჟაუნა—კონა 2—3 კაპ. სალათა 3—4 კ., თვის ბოლოკი—3 კაპ.

◆ **საელექტრონო სადგური** ქალაქის გამგეობას ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია და უკვე მრავალი მსურველი გამოჩნდა ელექტრონის ძალის მიღებისა. გუშინდლამდე სურვილი განაცხადა 1500 კაცმა.

◆ **საელექტრონო კონცესია.** პეტერბურგის ერთმა დიდმა ფირმამ წერილობითი წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, მისცეს, მას საელექტრონო კონცესია. ზედ ამთავობითვე 100,000 მან. შეაქს ქალაქის კასაში,

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** განახლებულ საბჭოს პირველი კრება ხუთშაბათს, 25 აპრილს მოხდება, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

სასამართლო

◆ **ტფილისის სამოსამართლო** პალატის სესია განჯასა და ბაქოსაკენ გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად.

საყურადღებო ცნობა

ფრიად საყურადღებო ამბავს ატყობინებენ ჟურნალ „კლდე“-ს განჯიდან.

„განჯიდან გვწერენ, — სწერს „კლდე“,—რომ უკანასკნელ დროს აღძრულა საკითხი ამიერ კავკასიის გუბერნიების საზღვრების ახლად გამიჯვნისა.

ეს საკითხი აღძრა ერევნის გუბერნატორმა ტიზენჰაუზენმა და მას მიემხრო ნამესტნიკის კანცელარია. მისი პროექტი ეხლა გადაცემული აქვს ელისავეტპოლის გუბერნატორს ბ. კოვალიოვს, რომელიც, მაზრის უფროსებთან ერთად, ამ ჟამად ენერგიულად აგროვებს ამისათვის შესაფერ მასალებს და ცნობებს. ამ პროექტით ტფილისის გუბერნიიდან ერევნის გუბერნიაში უნდა გადავიდეს მთელი ბორჩალოს მაზრა დ ნაწილი ტფილისის მაზრისა, ხოლო ელისავეტპოლის გუბერნიიდან იმავე ერევნის გუბ. გადადის მთლად მისი სამხრეთის მთიანი ნაწილი, სადაც მოსახლეობს სომხობა.

ამასთან ერთად ელისავეტპოლის გუბერნიისთვის ტფილისის გუბერნიიდან მოიჭრება ყარაიაზის საძოვრები, სოფლები აგტაგლა, ყარაჯალო, სოღანლუღი, მუღანლო, ელისავეტპოლის გუბერნიის საზღვრებში ამასთანავე შევლენ გარეთ კახეთის მიწებიც—ლილოელების, მარტყოფელების, საგარეჯოელების და სხვა.

ამ რიგად ეს პროექტი, თუ ამიერ კავკასიის გუბერნიების რუქას დააკვირდებით, სრულიად უცვლის სახეს სამხრეთ ამიერ კავკასიას.

იგებს მარტოდ მარტო ერევნის გუბერნია, და აგებს ტფილისის გუბ. ერევნის გუბერნიის ახალი საზღვარი ზედ ტფილისს ეკვრება.

ტფ. ქალაქის საბჭო

22 აპრილის კრება.

კრება საღამოს 8½ საათზე იწყება ქალაქის მოურავის ა. ი. **ხატისოვის** თავმჯდომარეობით. საბჭოს დარბაზში ხალხი ბლომად არის. ხმოსანთა რიცხვიც ბევრია—60 მდე. ალბად, ეს აიხსნება იმით, რომ კრების განსახილველ საგანთა სიაში შეტანილია საკითხი ტფ. **ტრამვაის გამოსყიდვის** შესახებ.

ა. ი. ხატისოვი. ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი ქველმოქმედი **გრ. ი. ფრიდონოვი,** რომელიც საბჭოს ხმოსნად დიდხანს იყო და მხურვალე მონაწილეობას იღებდა საქალაქო საქმეებში, განსაკუთრებით სასკოლო კომისიაში. სიცოცხლის დროსვე მან და მისმა ძმამ, თავიანთ დედის ხსოვნის აღსანიშნავად, ქალაქს ფული შესწირეს, რომლითაც დაარსებულია სტიპენდიები ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში. ამას გარდა განსვენებული და მისი ძმა დღემდე ყოველ-წლივ ქალაქს აძლევდნენ 228 მანეთს, რომელსაც ქალაქი, შემწირველთა სურვილის თანახმად, მზითვად აძლევდა ორს გასათხოვარ ღარიბ ქალს—ერთს სომეხს და ერთს—ქართველს. ამის გარდა დანამდვილებით გადმომცეს, რომ განსვენებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ იქნება ერთი დიდი შეწირულება ქალაქის სასარგებლოდ. რამდენი იქნება ეს შეწირულება, ჯერ-ჯერობით არ ჰსურთ განაცხადონ.

საბჭომ დაავალა გამგეობას, თანაგრძნობა გამოუცხადოს განსვენებულის ძმას და ფეხზე ადგომით პატივის სცა მის ხსოვნას.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. კარგი იქნება, ქალაქის გამგეობამ გაგვაგებინოს, რა მდგომარეობაშია ანდერძი განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილისა.

ა. ი. ხატისოვი. როგორც იცით, განსვენებულმა ქალაქს სამუნიციპალო მუზეუმისთვის სახლი დაუტოვა სერგიევის ქუჩაზე. განსვენებულის ეს სურვილი მე გადმომცა მისმა ქვრივმა ეკატერინე ივანეს ასულმა. ახლა აღმოჩნდა ერთი დაბრკოლება განსვენებულის სურვილის განსახორციელებლად: ის მიწა, სადაც სახლი სდგას, მამაპაპეული ყოფილა და მის მფლობელობაში კანონისამებრ განსვენებულის მემკვიდრენი ჩამდგარან. როგორც განსვენებულის ქვრივმა გადმომცა, მას მოლაპარაკება გაუმართავს მემკვიდრეებთან ამ მიწის დათმობის შესახებ. მანვე გადმომცა, თუ მოლაპარაკება სასურველად გათავდა, მაშინ წინ აღარა გადაეღობება რა განსვენებულის სურვილის განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამავ მიზნისთვის ქალაქს 100,000 მან. შევსწირავო. როგორც ეტყობა, მოლაპარაკება ჯერ გათავებული არ უნდა იყოს, რადგანაც არა უცნობებიათ რა.

ხმ. გრ. ი. თოიძე (გამგეობას). ქალაქის საბალახოს მოსამსახურედ ნამყოფ ნესტორ ცერცვაძის საჩივრის განხილვის დროს (წინა კრებაზე განიხილეს) დაცულ იქმნა თუ არა საქალაქო დებულების მე-120 მუხლი, რომლითაც ქალაქის გამგეობას უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს მისვე წინააღმდეგ აღძრულ საჩივრების გადაწყვეტაში.

ა. ი. ხატისოვი. ნესტორ ცერცვაძეს საჩივარი არ აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე. მან მხოლოდ შემწეობა ითხოვა და ამაზე უარი უთხრა საბჭომ. ამიტომ მე-120 მუხლის დაცვა საჭირო არ იყო.

ეს განმარტება შეკითხვის ავტორს აკმაყოფილებს.

ქვრივის ნინო ივანეს ასულ **შუბაშიანის თხოვნას** შემწეობის აღმოჩენის თაობაზე საბჭო არ აკმაყოფილებს, თანახმად პენსიათა და შემწეობათა აღმომჩენ კომისიის დადგენილებისა.

საბჭო ამის შემდეგ ადგენს: დაავალოს ქალაქის გამგეობას, აცნობოს მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობას, რომ ტფ. თვითმმართველობა მონაწილეობას მიიღებს **ხელმწიფე იმპერატორისთვის პურ-მარილის მირთმევაში** რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს აღსანიშნავად.

პოლიციელ **ფ. ლებედევს** საბჭო 96 მან. შემწეობას უნიშნავს.

ჯერი მიდის **ტრამვაის გამოსყიდვის** საკითხზე. ამ საკითხის გამო მრავალი მასალაა შეკრებილი და ცალკე წიგნად დაბეჭდილი. წიგნები ხმოსნებს ორის კვირის წინად დაურიგდათ.

ხმ. ა. ი. მიტკევიჩი. საკითხი ფრიად სერიოზულია, ხმოსნები კი მას კარგად არ გასცნობიან საკმარის დროს უქონლობის გამო. საჭიროა ამ საკითხის გადადება და მის განსახილველად საგანგებო კრების დანიშვნა.

ა. ი. ხატისოვი. კარგი იქნება, ამ საკითხის განხილვამ დიდხანს არ დაიგვიანოს, რადგანაც ტრამვაის გამოსყიდვის ვადა ჩქარა დადგება—1914 წ. მარტში. ეს დრო დიდ მანძილად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ჩვენს შემდეგ საკითხი უეჭველია მრავალ ინსტანციაში ივლის: საგუბერნიო საკრებულოში, სამინისტროში და სხვაგან.

ხმ. კ. ე. ანტონოვი ა. ი. მიტკევიჩს ემხრობა და თხოულობს ამ საკითხის განსახილველად კრება დაინიშნოს არა ადრე მაისის შუა რიცხვებისა.

საბჭო ხმის უმეტესობით ადგენს, საკითხის განხილვა გადასდოს და დაავალოს გამგეობას, 2 მაისისთვის საგანგებო კრება დანიშნოს ამ საკითხის განსახილველად.

რუსთაველი ხელოვანი

(ესკიზი)

„ივლიანემ აღაპყრო მკრთალნი თვალნი, მიეყრდნო კედელს. ჩაიკლა სუნთქვა და—განაბა სული, ეს იყო იგი. თავახდილს ცის ქვეშ ტაძრის შუა გულს იდგა ახლად შვებული ქაფისაგან, ცივი, თეთრი აფროდიტა—ანადიომენა მთელი თავისი ურცხვი სიტიტვლითა. ღმერთ-ქალი თითქო ღიმილით გასცქეროდა ცასა და ზღვას, უკვირდა მისი მშვენება და ჯერ არც იცოდა, რომ იგი მისი საკუთარი მშვენებაა, ცასა და ზღვაში, ვით მარადს სარკეთა შორის, ასახული. სამკაულის შეხება არ ურაცხჰყოფდა მას. ასეთი იდგა იგი, სრულიად უმანკო და მთლად ტიტველი, როგორც ეს მუქ-ლურჯი ცა, მის თავ ზემო გადაშლილი. ყრმა უცქერდა მოწყურებული.. „დრო შეჩერდა. და იგრძნო მან უეცრივ, რომ ტანში თაყვანების ჟრუანტელმა გაურბინა.. დ დაეცა იგი მუხლებით აფროდიტას წინაშე: თავი მაღლა ასწია, ხელნი გულს მიიკრა. შემდგომ სულ ასე შორიახლო, სულ ასე კრძალვით, მისჯდა სვეტის საფეხურს, თვალს არ აცილებდა მას, მისი ლოყა შეეხო ცივს მარმარილოს. მყუდროება სულში ესვენებოდა, და მოერია მას რული, მაგრამ ძილშიაც გრძნობდა იგი ქალის სიახლოვეს: იგი ჩამოდიოდა მასთან ახლო და ახლო; წვრილნი, თეთრნი ხელნი მას ყელს ეხვეოდნენ. ყრმა მიეცემოდა უვნებო ღიმილით უვნებო ხვევნასა“ (მერეჟკოვსკი: „ივლიანე განდგომილი“).

აი, რა იგრძნო ივლიანე განდგომილმა, ჯერ კიდევ უმწიფო ყრმამ, როცა მან პირველად იხილა მხიბლავი ქანდაკება მშვენიერი აფროდიტასი, ელლინთა გრძნეული მითოლოგიური წარმოდგენით, აქაფებული ზღვის ტალღისაგან შვებულისა. გულისხმიერი მოვლენაა! ვნებით ადუღებული ქაფი საღაფში აბურთდა და ნელინელ იქცა ღმერთ-ქალის სხეულად; ვნებით აძრული სხეული შეაჩერა შემოქმედმა ხელოვანმა და გამოჰკვეთა იგი ცივსა და თეთრს მარმარილოში და უცქერს იმა სხეულს ყოველი რაღაც უცნაური გაღმერთებით, ვით ჭაბუკი ივლიანე, და გრძნობს მარმარილოში იდუმლად შვებულს სილამაზეს. აქ ჩამოისხა ელლინთა შემოქმედი გენია: მან გაგვიშალა, თუ როგორ ისხმის ვნებული სული მშვენიერ სხეულად; მან დაგვანახვა, თუ როგორ იშვის შეთამაშებული ქაოსი გარდამქმნელ ფორმაში. სხეული, როგორც გარეგანი სახე ყოველის სულიერისა და ფორმა, როგორც გარდამქმნელი ძალა ყოველის ქაოტიურისა,—აი ელლინთა ღვთიური ინტუიცია.

⁂

და სწორეთ ეს ელლინური ნიჭი, აფროდიტას მითში სახული, მიდგება თვალწინ, როცა შევსცქერი რუსთაველის შემოქმედ მხატვრობას: აქაც სხეულის სულდგმულება, აქაც ფორმის გაღმერთება. შეხედეთ ნესტან-დარეჯანს! განა ეს მხიბლავი ასული იგივე მატყვევებელი აფროდიტა არ არის?!. იგი უმანკო და ქალწულია, ვით ცივი და თეთრი ქანდაკება ღმერთ-ქალისა; იგი უვნებოა, ვით უძრავი მარმარილო, მაგრამ ვნების ამძვრელი, ვით ტყვემქმნელი აფროდიტა. და შეჰფრფინავს მას ხომ მისი ტარიელი, სწორედ ისე, როგორც ყრმა ივლიანე შესტრფოდა მშვენიერს მარმარილოს: „პირისპირ მიჯდა იგი მზე, ვისთვისცა გული კვდებოდა, მალვით ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა, სხვად არად მეუბნებოდა, თვალნი მოვსწყვიტნი, სიცოცხლე ამითა მეარმებოდა“ (ტაეპი 467).

დიახ, „თვალნი მოვსწყვიტნი“,—ამ ორ სიტყვაში სავსებით იხატება ვნება ტარიელის სულისა...

საკვირველია: მთელი ქმნილება რუსთაველისა სხეულის სილამაზით არის აძრული, მაგრამ მასში არ მოიძებნება არც-ერთი ხაზოსმა, სადაც იჭრებოდეს ცხოველური გრძნობა. ერთი მხრით: ნდომით ფრენილი ოცნება და ტკბობით ავსილი ნაღველი: „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ (ტ. 12;) მეორის მხრით კი სრული უარყოფა ცხოველური სქესისა: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ (ტ. 9)... და სწორეთ ესაა ელლინური გრძნობა სხეულისა. რუსთაველის ინტუიციით სხეული არ არის უბრალო ხორცი: იგი ცოცხალი სახეა სულისა, იგი თვითონ ხილული სულია.. სწორეთ ისე, როგორც ფორმაში მოყვანილი მარმარილო: იგიც ხომ სულდგმულია მშვენიერებაში გაქვავებული ვნებითა. დიახ, სულდგმული მარმარილო,—აი მხატვრული სახე რუსთაველის მიერ შექმნილი სხეულისა!. და, რასაკვირველია, ამგვარი სხეულის სიყვარული (რუსთაველის აზრით) უბრალო ცხოველობით ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ, თუ ერთი მხრით, უსულო სიყვარული უარყოფილია, მეორის მხრით, არც უსხეულო სიყვარულია შესაძლებელი: იგი არ არის რაღაც განყენებული, უვნებო, ვით სიყვარული რომელიმე იდეისა; პირიქით, იგი ვნებულია, სისხლითა და ხორცით შესხმული. ხორცსხმული სული და სულდგმული სხეული,—აი რას ეტრფის სიყვარულით ადამიანი. და აქ რუსთაველმა უკანასკნელი სიღრმით იგრძნო მქნეძალა ეროსისა, მსოფლიოს ცხოველმყოფელი: მძლავრად გაშლილი ფრთები, უსაზღვრო სივრცის გარდამლახავნი, ღრმა დ ჩაჭრილი ნაღველი, მშვენიერებით უკვდავებას ზიარებული.. იქ მან ჭეშმარიტად პლატონურად იგრძნო სიყვარული... თუ სიყვარული უბრალო ცხოველობაა, მაშინ იგი არ არის ლამაზი, მშვენიერი; თუ იგი უსხეულო ვნებაა, მაშინ იგი არაა ცოცხალი, ხორცსხმული. იგი ერთსა და იმავე დროს მშვენიერი სულის სურვილიცაა და ლამაზი სხეულის წყურვილიც: მშვენიერი სული ლამაზი სხეულისათვის ლტოლვილი და ლამაზი სხეული მშვენიერი სულისთვის ვნებული,—აი უშრეტი წყარო სიყვარულისა. და ასეთი სატრფიალო არსი ცივ ხატად იჭრება სულდგმულ მარმარილოში. მარმარილო ლამაზი სხეულია, მაგრამ უძრავი, მკვდარი; სული ცხოველია, მაგრამ უსხეულო. მარმარილო სიცოცხლეს სულში ეძებს, სული სხეულს მარმარილოში ეძებს, და იქმნის სულდგმული ქანდაკება, სიმბოლო მშვენიერი სულის და ლამაზი სხეულის ხორციელებისა; იქმნის ის გულისხმიერი და იდუმალი განცდა, რასაც პლატონი „მშვენიერებაში შვებას“ უწოდებს; იქმნის ნამდვილი სიყვარული. ასეთია რუსთველის მიერ ნაგრძნობი ეროსი: ლამაზი სხეული, შვენიერ სულით შვებული, ვნებული... „მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,“ (ტ. 1282); „სული ჩემი შეივედრენ, ზეცით მომხვდენ ნუ თუ ფრთენი“ (ტ. 1279),—აი რასა სწერს მზის ასული ნესტანი ველად მისთვის გაჭრილს ტარიელსა.

⁂

დიახ, სიყვარული „შობაა მშვენიერებაში“, და სიყვარულით ანთებული ეტრფის მხოლოდ მშვენიერს, შეჰფრფინავს მხოლოდ ლამაზს.. და რუსთაველი — მხატვარიც ჰქმნის ტყვემქნელ სატრფოსა და წარმტაც მოტრფიალესა. ისარი ეროსისა, ამ ვნების ღმერთისა, მკვეთრია, ვით მოქნილი და მჭრელი ფოლადი; მაგრამ ამასთანავე იგი ცხოველმყოფელიცაა, ვით მბრწყინავი დ მათბობი მზის სხივი. და აი, მზეს აფრქვევინებს სხივებს რუსთველი-მხატვარი და შლის იმა სხივებს სამხატვრო ფერადებად. მზე, ეს ცხოველმყოფელი ყოველის არსისა, რუსთაველს მხატვრულ გრძნობაში თვითონაც ცოცხალი არსია, ცხოველი. როგორც ესთეტი, რუსთაველი „მშვენიერების ცეცხლთაყვანისმცემელია“ და, რადგან იგი მშვენიერება მზის სხივებით ცხადდება, ამისათვის ჩვენი მხატვარი მზის თაყვანისმცემელი გამოდის... როცა ზღვის ცხოველი სვეტი, ზღვაში ჩასვენებული, ლივლივა ტალღებში ტანს იბანს, მაშინ იქმნის ლტოლვა, მაშინ იშვის ვნება. სხივი ქავლ-გამჭვირვალი და ქავლი სხივათამაშებული,—აი ტრფობის ნაპერწკალი, აი ვნების ისარი... და რუსთაველიც, ჯადოსანი მშვენიერებისა, ყოველს მშვენიერს მზეს უწოდებს ან და მზეს ზიარებულსა... მზის ასული ნესტანი „მზესა სიტურფეედ ეყოფის“ (ტ. 1109); „ანუ მზე იყო ქვეყანაე, ან მთავარე პირ-გავსებული“ (ტ. 522); „მისთა შუქთა შვენებანი ნათლად მადგის გულსა შინით“ (ტ. 903);—ამბობს მისგან დამწვარი ტარიელი. „ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგვანდის სინათლე დღისისა (ტ. 370), ასე ხასიათდება ნესტანის სილამაზე... და ტარიელიც, მისი სიყვარულით შეჭირვეული, მზის ტოტის ნაკვეთია. იგი ემზგავსა „მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (ტ. 309); და ამბობს თვითონ: „მზესა მე ვჯობდი მშვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა“ (ტ. 310) და მშვენიერი ნესტანიც, ქაჯეთს დამწყვდეული, გრძნობს ამას:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახლე, მისი ეტლი არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მანვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“
(ტ. 1281).

ნესტანი და ტარიელი შეხვდებიან ერთმანეთს და მგოსანი იტყვის: თითქო „მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გვალსა“ (ტ. 1396); და ამისთვის მოტრფიალეთა გაშორებაც ძნელია: „რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს, მის მოყვრისა მოშორება კვლავ აბინდებს, არ აღილებს“ (ტ. 695). ან და: „მთვარე მზესა მოეშოროს, მოშორება განანათლებს, რა იახლოს, შუქი დასწვას, გაეყრების, ვერ იახლებს, მაგრამ ვარდსა უმზეობა გახმობს და ფერსა აკლებს“ (ტ. 811)... და ტარიელ: „ლურჯათ სჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქნაკრთომისა“ (ტ. 695)...

მზე ცხოველმყოფელია, სიცოცხლის მწვევი,—და მისი სხივნი ფერად ყვავილებად იშლებიან. და რუსთაველიც აღმოაცენებს მრავალგვარ ყვავილთ, სიყვარულის ნარნარ გრძნობათა გამოსათქმელად. სიყვარული მისთვის სურნელოვანი ყვავილია და მის თანმყოლნი გრძნობანი სხვადასხვა ყვავილნი: „ცხელნი ცრემლნი ასველებდეს ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა“ (ტ. 151); „ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია“ (ტ. 240.) „შესცვალა ვარდი ზაფრანად, ლაჟვარდის ფერად იანი“ (ტ. 397). თვითონ სიახლოვეც ლამაზი სხეულის ყვავილოვან-სურნელოვანია: „ეუნოსა (ავთ.) სული ალვისა, ქართაგან მონატაცისა“ (?); კიდევ უფრო ნარნარია ყვავილოვანი სიახლოვე ნესტანისა: „ალვისაგან სული მოჰქრის, ყორნის ფრთადად მონაბერი“ (ტ. 1286). რუსთაველმა ისიც კი იცოდა, რომ ყოველს ხმას თავისი ფერი აქვს: ავთანდილი ბრუნდება, შეხვდება ტარიელს და უკანასკნელს: „ხმა შაქრის ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა“ (ტ. 1311)“.

რუსთაველის მიერ ქმნილის სხეულის ნაკვთი ობოლი თვალია, თვითშობილი და არა ხელქმნილი ქვა, და ამშვენებენ ერთიმეორეს ყვავილი და თვალი.. „ბროლსა და ლალსა ამშვენებს მუნ ჩრდილი წარბწამწამისა“ (ტ. 1483); „ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენ და ბურვენ“ (ტ. 836); „თეთრთა კბილთა გაპკრთების თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად ხანგრძლივ კამათს იწვევს სხვა და სხვა ფირმისა და კერძო პირების წინადადებანი **საელექტრონო კონცესიის** გამო.

კამათში მონაწილეობას იღებენ: ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრი თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ს. ბაბოვი, პ. ა. გოთუა, კ. ე. ანტონოვი, ტ. ა. ენფიანჯიანცი, ი. მ. დოლუხანოვი, დ. ვ. ბეზობრაზოვი, ს. ა. ქსავერიევი, მ. ნ. ვესელოვზოროვი და სხვანი.

თითქმის ყველა ორატორი იმ აზრისაა, რომ საელექტრონო კონცესია არავის არ უნდა მიეცეს, რადგანაც ქალაქს უკვე საკუთარი საელექტრონო სადგური აქვს, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს და ელექტრონის ძალით ყველა უზრუნველჰყოს. ამის-და მიუხედავად, ზოგიერთთა აზრით, შეიძლება ქალაქმა კონცესია არავის მისცეს, მხოლოდ, თუ საჭირო იქნება, რომელიმე ფირმისაგან ხელ-საყრელ ფასში ენერგია იყიდოს.

კამათის დროს შეეხნენ **ქალაქის საელექტრონო სადგურსაც**, რომელსაც ქალაქის გამგეობა ახლა იბარებს.

ხმ. პ. ა. გოთუა (გამგეობას). ვიდრე სხვა ფირმებისაგან ელექტრონის ძალის ყიდვაზე ვითათბირებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, ჩვენ თვითონ რა გვილირს, რა გვიჯდება ენერგია. ისიც საინტერესოა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ელექტრონის სასადგური, რომლის შესახებ გაზეთებშიაც იყო ცნობა?

თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. გავრცელებული ხმები, ვითომც მანქანები უვარგისი აღმოჩენილიყოს საელექტრონო სადგურზე, მართალი არ არის. იყო მხოლოდ მცირე დეფექტები, რომლის შესახებაც გაზეთებში ცნობა უფრო ადრე იყო, ვიდრე ჩვენ თვითონ გავიგებდით. გადმოგცემთ პროფ. არტემიევისა და საელექტრონო სადგურის მიმღებ კომისიის აზრს. მანქანებში ცალ-ცალკე ყველა რიგიანია, მხოლოდ მათი პარალელიური მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. საჭიროა მხოლოდ ამ მანქანების მუშაობის ერთიმეორესთან შეთანხმება. თუ ამას ვერ მოახერხებს ნიკოლაევის ქარხანა, რომელსაც ეს საქმე ჰქონდა მინდობილი, მაშინ ჩვენ, ხელშეკრულობის ძალით, შეგვიძლიან დავაჯარიმოთ თვეში 25,000 მანეთით. ისიც მართალი არ არის, ვითომც სადგური უკვე ჩავიბარეთ. ნამდვილად რომ ჩაგვებარებინა, მაშინ მთელი ფული უნდა მიგვეცა. ჩვენ კი უკან დავიტოვეთ მთელი ფულის მესამედი—54,000 მან. რომელიც ქარხანას კიდევ ერგება.

ამის შემდეგ საბჭო კვლავ უბრუნდება საელექტრონო კონცესიის წინადადებათა გამო კამათს.

საბჭო ერთხმად ადგენს: უარი უთხრას ყველა იმ ფირმას, რომელსაც დღემდე ქალაქისაგან საელექტრონო კონცესიის უფლება უთხოვნია.

კრება ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე თავდება.

სომხური პრესა

სომხურ გაზ. „ჰორიზონში“ (№ 81) მოთავსებულია წერილი ბ. ტ. ფირუმიანისა, შესახებ შოთა რუსთაველისა და მის უკვდავ ნაწარმოების „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ.

წერილის ავტორი სხვათა შორის აი რასა სწერს.

„საკვირველი მკვიდრი ნიადაგი მოუპოვებია ,,ვეფხის ტყაოსანი‘‘-ს ნიჭიერ ავტორს, შოთა რუსთაველს ქართველ კაცის გულში

თითქმის მეოთხედი საუკუნეა, ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებთ და ვკითხულობთ ქართულ პერიოდულ გამოცემებს და გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ ამ მეოთხედ საუკუნეში არა ყოფილა არც ერთი კვირა, რომ ჩვენ არ შეგვხვედრიყოს ამა თუ იმ გაზეთის ანუ ჟურნალის ფურცლებზე ამ დიდეს მგოსნის ანუ მის სახელგანთქმულ ნაწარმოების სახელი. ქართველი კაცი, გარდა ამისა, თავის საყოველდღეო ცოცხალ ლაპარაკს ამშვენებს ყოველთვის ,,ვეფხის ტყაოსნის‘‘ ამა თუ იმ ბრძნულ თქმულებით, მის ამა თუ იმ უზომოდ ტკბილ მოსასმენ ჰანგით. ამ სტრიქონების დამწერს რამდენიმე წელიწადი უცხოვრია სომხეთის გულში, ქალაქ ვანში, სადაც უნახავს, რომ სომეხსაც ჩვეულებად აქვს თავის საყოველდღეო ლაპარაკის დამშვენება წიგნიდან ამოღებულ სიტყვებით, მაგრამ ეს სიტყვები მოღებულია დავითნიდან, სახარებიდან და ნარეკიდან... ორ მეზობელ ხალხთაგან ერთი სულიერ კმაყოფილებასა ჰგრძნობს იმაში, რომ თავის ნალაპარაკებს ამოწმებს, რომანიულ პოემიდან ამოღებულ სიტყვებით, ხოლო მეორე—ძლიერ რელიგიოზურ ნაწერებიდან‘‘..

შთაბეჭდილებანი

(წერილი მოსკოვიდან)

ჩავედით თუ არა მოსკოვში, იმ წუთშივე, რასა თქმა უნდა, სამხატვრო თეატრისაკენ გავექანეთ, მაგრამ პირველადვე თავისუფლად ვერ მოვეწყეთ. იძულებული გავხდით მივვემართა ვახტანგ მჭედლიშვილისთვის. მეორე დღეს მივიღეთ სრული ნებართვა ყველა წარმოდგენებზე თავისუფლად სიარულისა.

პირველად „ჰამლეტი“ ვნახეთ ის ჰამლეტი, რომელსაც ასე მოუთმენლად მოველოდი და რომელმაც მთელი რუსეთი აალაპარაკა... ვნახე და.. მოლოდინი აღარ გამიმართლდა.. დეკორაციების უარისყოფა, ოთხკუთხი შირმები, რომლებსაც ხან ასე მოატრიალებენ, ხან ისე—ვერ ახდენს მაყურებელზე სათანადო შთაბეჭდილებას... არ არის ილუზია.

არა სცურავ დიდებული შექსპირის სულის კვეთებათა ზღვაში. გესმის მხოლოდ მისი ჰენიოსური სიტყვები და სცდილობ გადაფრინდე იქ, იმ სადარაჯო ტყეში, კლდეებში, სადაც ჰამლეტს წინ მიუძღვის მამის აჩრდილი, მეფეთა საოცნებო დარბაზებში, სადაც ოქროთი დაფერილ ყოველ კუთხიდან გამოსჭვივის ძმისაგან დაღვრილი ძმისავე სისხლი, სიცრუე და ბოროტება, საიდუმლოებით მოცულ სასაფლაოზე, საცა ამ ბოროტების უკანასკნელ მსხვერპლს, ოფელიას ცივი სამარე გულში იკრავს... ერთი სიტყვით იქ, საცა შემოქმედების დროს დიდებული დრამატურგის სული დანავარდობდა... მაგრამ ამაოდ! სულ ოთხკუთხი შირმები და სვეტები, სვეტები და შირმები!.. ხან ნაცრის ფერი, ხან თეთრი და ხან ყვითელი. თუ გორდონ კრეგის თვალით შევხედავთ ჰამლეტის დადგმის იდეას—ხელმძღვანელნი მართალნი არიან, მიზანს მიაღწიეს: ხაზგასმულია პიესის ფილოსოფია. გესმის შექსპირის მარგალიტი სიტყვები, მისი ღრმა აზრი... არავითარი კერძო საგანი შენს ყურადღებას არ იქცევს და სრულიად გატაცებული ხარ ტრაგედიის შინაარსით... ამ მხრით, მართლაც თვალსაჩინო ნაბიჯი წარსდგეს წინ, საგრძნობელი რევოლუცია მოახდინეს სასცენო ხელოვნების სამთავროში, მაგრამ გაიმარჯვებს თუ არა ეს იდეა, ეს ისევ საკითხად რჩება. ვიმეორებ—არ არის ილუზია, არ არის განცდა. მაყურებელი ცივადა ზის. მას აწვდიან მხოლოდ გონების სამუშაოს, გრძნობა კი გაქვავებულია, მშრალია. ასე იყო შექსპირის დროს: მსახიობი გამოვიდოდა სცენაზე და მაყურებელს დაუყვირებდა—„ეხლა იქნება ტყე“... მაყურებელიც ფიქრით ამ ტყეში გადადიოდა. მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც სცენის ტეხნიკა არ იყო განვითარებული. თანამედროვე დრამატურგმა ჰაუპტმანმა სცადა და დასწერა პიესა „შლიეკ და იაუ“—რომელსაც დეკორაციები არ უნდა. იქაც მსახიობი ხსნის მოქმედების გარეგან მორთულობას, მაგრამ პიესამ, მიუხედავად მისი ღრმა შინაარსისა, ვერ მოახდინა შთაბეჭდილება. ამ გზას დაადგა გამოჩენილი რეჟისორი მეიერხოლდი, მაგრამ დამარცხდა. ასევე ტილოებით დასდგეს შარშან ჰამლეტი პეტერბურგში სახელმწიფო თეატრში, მაგრამ მეორე დღესვე მოხსნეს.

თვით ზოგიერთი მიზანსცენებიც მეტის მეტად ხაზგასმული და გადაღეჭილია ისე, რომ მაყურებლის გონებას აღარაფერი რჩება სამუშაო. მაგალითად 1 მოქ. 2-რე სურათი. სცენა იყოფა ორ ნაწილად. უკან—სამეფო დარბაზია. ყველაფერი ოქროშია დაფერილი, კედლები, ტანთსაცმელი და ტახტი, სადაც სხედან მეფე და დედოფალი. წინ სცენაზე სდგას უბრალო ნაცრის ფერი ტახტი, რომელზედაც ზის ჰამლეტი. სცენას ჰყოფს ორი ნაცრისფერივე ოთხკუთხი სვეტი. თვალში ეკალივით გეჩხირება ორი სამთავრო. ამ შორ მანძილზე გესმის დიალოგი მეფისა და ჰამლეტის შორის. თავდება მეფის სიტყვა, გაისმის მუსიკა, ზარბაზნების ხმა, სცენის უკანა ნაწილი ბნელდება და დაეშვება თეთრი ფარდა. ჰამლეტი რჩება სცენის პირველ ნახევარზე მარტოდ მარტო. ეს ტლანქი ხელოვნებაა. მაყურებელს აწვდიან გადაღეჭილ ლუკმას, საჭიროა ყბა გააქნიოს და გადაყლაპოს. რა საჭიროა ჰამლეტის ტეხნიკურად განცალკევება მეფისა და მის ამალისაგან? განა ჰამლეტი თვისის ფსიხიკით, სულთა სწრაფვით სხვა, მის გარშემო მყოფ, ადამიანთაგან განცალკევებული არ არის?!

სამაგიეროდ მშვენიერია მესამე მოქმედება—სცენა-სცენაზე. უზარმაზარი ოქროს დარბაზი, ოქროს დიდი ტახტი ამავე ფერის ტანთსაცმელში ჩაცმული, ქანდაკებასავით მჯდომი, ასამდე ქალი და კაცი, მართლაც დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენს. სასტიკად არის დაცული ტანისამოსის ისტორია; დროისა და გარემოების შესაფერი მუსიკა და გალობა.

რაც შეეხება თამაშს—აქაც მოვტყუვდი.

თვითონ ჰამლეტი,—მე XVI საუკუნის კაცობრიობის სულის კვეთების მატარებელი ჰამლეტი—კაჩალოვის გადმოცემით მეტად ტლანქი და მყვირალა გამოვიდა. „სწორედ მონავარ, მაწანწალა“... ძალიან ცივად იყო წარმოთქმული, არა სჩანდა არტისტის ჩვეულებრივი ნაზი გრძნობა, რომელიც მაყურებელს ჰხიბლავს და ნეტარ წუთებს აგრძნობინებს.

„ყოფნა, არ ყოფნა“... სულ დაიკარგა. მესამე მოქმედებაში წარმოდგენის დროს, ოფელიას მუხლიდან, მარაო მოფარებული, ფარულად კი არ უცქერის მეფის სახის გამომეტყველებას,—დემონსტრატიულად მიდის მასთან, გადაეყუდება ტახტის ზურგს, დაჟინებით ჩასცქერის თვალებში და ყოველ კითხვაზე ირონიით უპასუხებს მეფეს. მეოთხე მოქმედებაში ჰამლეტისა და ოფელიას დიალოგის დროს პოლონიუსი არა ჩნდება; ასე რომ ჰამლეტი—კაჩალოვი ისეთი კილოთი ეკითხება ოფელიას—„მამა შენი სად არის“-ო, თითქოს მოსწყინდა და ნახვა მოენატრაო. ალბათ ბ. კრეგი აქაც გვიბრძანებს ვიგულისხმოთ ისე, როგორც სხვა სცენებში, მაგრამ ზოგ ადგილებში ეგ არა სჩანს და აქ-კი მეტად მწარედ იჩხვლიტება. საერთოდ—არ ვიცი ამ ყოვლად ნიჭიერ მსახიობისაგან სრულ ქმნილ ჰამლეტს მოველოდი, თუ რა მიზეზია—არ მომეწონა! ოფელია და დედოფალი სუსტნი იყვნენ. ამბობენ მზოვსკის ქალი და ქ. კნიპერი თამაშობენ კარგათაო. კარგი იყო პოლონიუსი—ლუჟსკი.

* * *

ნეზლობინმა ჩვეულებრივის სტუმართ-მოყვარეობით გაგვიღო თეატრის კარები. ვნახეთ „არწივი“, „Лабиринтъ“, „დონ-ჟუანი ნეაპოლში“, „იდიოტი“, „ფაუსტი“, რენესანსი და სხვ., რეჟისორი კარგი ჰყავს; არტისტები-კი სუსტი, მცირე გამონაკლისით. სამაგიეროდ არტისტები საიმპერატორო პატარა თეატრში არიან. სხვაგან დატანჯული აქ თუ დაისვენებს ადამიანი.

ვინახულეთ ჩვენი თანამემამულე ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინი. სიამოვნებით მოიგონა ტფილისი, თავისი სიყმაწვილე და ნ. ა. ტარსაიძესთან ერთად გამართული საბავშვო წარმოდგენა, რომელშიაც მას თურმე ქალის როლი უთამაშნია. ბევრი იცინა. მკითხა ჩვენი თეატრის ამბავი, დრამატიული ლიტერატურისა და დამსახურებულ მსახიობთა ყოფაცხოვრება. სხვათა შორის სთქვა: „მინდა ჩემი წვლილიც შევიტანო სამშობლო თეატრის ცხოვრებაში. შევქმნა დაუძლურებულ ქართველ მსახიობთა საპენსიო თანხა. ამ მიზნის განსახორციელებლად გადაწყვეტილი მაქვს, მაისში 1914 წელს ჩამოვიდე ტფილისში და თქვენის დახმარებით გავმართო რამდენიმე წარმოდგენა. სხვათა შორის, ვითამაშებ ოთარ ბეგს, მე რუსულად, თქვენ-კი ქართულად. ჩემი თანამემამულენი მაპატიებენ ამ დანაშაულს. ქართული ენა მიყვარს, მაგრამ სასცენოდ არ მეხერხება. რუსეთში დავიბადე და აქვე ვცხოვრობ,—საკვირველი არ არის რომ დამავიწყდეს. წელს მინდოდა ჩემი განზრახვა მომეყვანა სისრულეში, მაგრამ დრო ნებას არ მაძლევს. ბევრი საქმეები მაქვს. თეატრის დირექციას რეფორმების გეგმა წარვუდგინე; თუ არ დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა, დასის გამგებლობას თავს ვანებებ. დღემდის ყველაფერი კარგად მიდიოდა. შემოსავალი ავსწიე ერთი-ოთხად, მაგრამ დღეს ისევ ჩამოერივნენ საქმეში არამკითხენი და ხელს მიშლიან. თეატრს უნდა ჰქონდეს ერთი თავი და ასი ფეხი, მაშინ შეიძლება წინსვლა... თუ პირიქით არის—საქმე უკან დაიწევს“.

3 აპრილს მოსკოვიდან პეტერბურგს ჩავედით.

ვალ. შალიკაშვილი.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

„საეროვნო პრობლემის გარშემო“

(1907—9 წ. ტ. I)

წარსული მივიწყებული გვაქვს. მის შესახებ ერთი აზრი ვერ შეგვიმუშავებია და ამიტომ საცილობელი გაგვხდომია ბევრი რამ იმისთანა, რაც დღესავით მარტივი და აშკარაა. წარსულის შესახებ ჭეშმარიტი აზრი და მიუდგომელი მსჯელობა ჭეშმარიტ და სამართლიან აზრსა ჰქმნის აწმყოს შესახებაც.

◆

ვინც რა უნდა სთქვას მე პირადად „ზღაპარი“ და „ოცნება“ მირჩევნია ამ ნაცრისფერ ძვალთა გროვას*) დანახვას და მზადა ვარ ერთხელ კიდევ გავიკეთო გული „ზღაპრულ სამეფოს“ ჭვრეტა-დანახვით

◆

ჩვენი ავტონომია არც გაფართოვებული ერობაა, არც ოლქებრივი თვითმმართველობაა, არამედ პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილი ტერიტორიალურ—ეროვნული ერთეული.

◆

ჩვენი ეროვნული კულტურა დღესაც დიდ განსაცდელშია. „პროგრესობად“ და „მოწინავეობად“ დღეს ის ითვლება, თუ აძაგეთ ყოველივე, რაც წარსულში გვქონდა და თუ წარსულის ცოდნის ნაცვლად ფრაზებით შემკული საცოდავი უცოდინარობა გამოააშკარავეთ.

◆

ძველი ისტორია საქართველოსი განუწყვეტელი ცდა იყო ეროვნების შემუშავება-გამაგრებისა.

ჩვენ გვგონია, რომ საქართველო დღეს იმგვარ პირობებში იმყოფება, რომ იმის წინაშე, ერთსა და იმავე დროს ორი გზაა გასავლელი, ერთი ეროვნულ კულტურის განვითარების გზა, მეორე კავკასიის ერებთან ურთიერთობის განმტკიცების გზა,—გზა ინტერნაციონალური.

◆

სარწმუნოებრივ და რასიულ ანტაგონიზმს ჯერ ისეთი ძალა ჰქონია ჩვენში, რომ იგი, ანტაგონიზმი, ეკონომიურ ნიადაგზედაც გადადის და აქ აჩრდილებს და ანელებს სხვა და სხვა ერთა მშრომელ ხალხის კლასსიურ სოლიდარობას. მეშინიან, საქართველოც არ გახდეს ახლო მომავალში დისჰარმონიულ ინტერესთა ქიშპობის ასპარეზად.

◆

ქართველ ხალხის დიდ უმრავლესობას (გლეხობას) თუ აიღებთ, იგი სრულიადაც არ გამოსულა ეროვნულ ჩარჩოებიდან, მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესი კი იმას მო-

---

ელვა ვითა ქვირი“ (ტ. 135); „ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (ტ. 946)...

ასეთია რუსთაველის მხატვრობა: მისი საგანი მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი სხეულია, ელლინური გრძნობით ნაგრძნობი: სხეული, მშვენიერებით სულდგმული და მზის სხივებში განცხოველყოფილი. და ამ სხეულის სიყვარული რუსთველით ჭეშმარიტად პლატონურია: მოტრფიალეს უყვარს თავისი სატრფო, მაგრამ მისი ტრფიალი აროდეს კი ვერ გადადის ცხოველურ ვნებატკბობაში.

* * *

მშვენიერია ნესტანი: მსოფლიო მხატვრულ სახეთა შორის იგი გვერდს უზის ბეატრიჩესა და სოლვეიგს. მარტო მისი წერილი რად ღირს, ქაჯეთის ციხითგან ტარიელისადმი მინაწერი! ხოლო არა ნაკლებ მშვენიერია მისთვის ველად გაჭრილი ტარიელი: იგი ნამდვილი ვნებული დიონისოა „მას უყვარს სტიქიური სიყვარულით ნესტანის სხეული, მას სწყურიან მსოფლიო წყურვილით დაეწაფოს იმა სხეულს, რომ მასში დაიჭიროს მისი უხილავი სული, გადაექსოვოს და საუკუნოდ ესხეულოს მას,—და აი, სტაცებენ მას მშვენიერს ნესტანს, გადაჰკარგავენ მას ქაჯეთის ციხეში. და გაიჭრება ველად გმირი ტარიელი, და დაეძებს იგი მისთვის შობილს სატრფოს“ გულისხმიერია მისი ველად-გაჭრა! „საწუთრო და სოფელს ყოფნა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა, ოდენ ხელი მხეცთა თანა იარების, მინდორს სტირსა“ (ტ. 680). ღრმა აზროვანი სიმბოლოა! სტიქიურად შეყვარებულს ტარიელს მხოლოდ ერთი რამ ახსოვს, მშვენიერი ნესტანი, მარტო მისი მოგონები აცოცხლებს მას,—და სცნობს რა, რომ იგი ამ სოფლითგან მოტაცებულია და სადღაც სხვა ქვეყანად გადაკარგული, თვითონაც სცილდება სოფლად ყოფნასა. „სევდათ მექცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიაღე“ (ტ. 265),—ეუბნება იგი ავთანდილს. ესეც ღრმა ჭეშმარიტებაა! მარტოობა მყუდრო ჩრდილია სიყვარულისა, რომლის ქვეშ ისვენებს სიყვარულით აძგერებული გული,—და აი, ტარიელიც სცილდება ყოველს, რომ მარტოობაში მხოლოდ თავის ერთად-ერთს ფიქრს, ნესტანისაკენ გაფრენილს, ეკუთვნოდეს; და თუ მან კაცი დაინახა, მისი სიახლოვე მას ნესტანის სიშორეს უცხოველებს, და შავი სევდა მოიცავს მას.. ასეთია ტარიელი: იგი კაცს არ იკარებს „სტიქიურია მისი სიყვარული“ ავთანდილი მიუტანს მას ნესტანის წერილს, და ხედავს, რომ მას „სულნი გაექცნეს“. დიახ, მისი სული სწორეთ რომ „გაქცეულია“, მის არსებითგან გამოსული და სადღაც სხვა ქვეყნად სხვა არსების მძებნელი... აი კიდევ შესანიშნავი სურათი! იგი ხედავს: ლომი ვეფხს ებრძვის. მშვენიერი ვეფხი „ვეფხის-ტყაოსანს“ ტარიელს ნესტანს აგონებს—იგიც გადაიჭრება და მოჰკლავს ლომსა. და შემდგომ: „ხმალი გავტყორცე, გადვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა; მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ (ტ. 891). ამას იქით სიყვარულის სტიქიონი ველარც კი წავა: ნესტანით აცხოველებული იგი ვეფხს ეხვევა.. „ჭეშმარიტად შეპყრობილია ტარიელი ნესტანის არსებით, მისგან ესრე ქირვეულია“.. იგი ნამდვილი ვნებული დიონისოა: დიონისო, ეს წამებული ღმერთი, რომელიც სიკვდილში ნახულობს სიცოცხლეს, ეს ვნებული ზარისი, რომელიც თვით ვნებაში ნახულობს ერთგვარ ტკბობასა; იგი მუდმივი მსხვერპლია და უკვდავი მსხვერპლის მწირველი; იგი თავს ივიწყებს, რომ ემპირიულ „მეს“ გარე ჰპოვოს თავისი ნამდვილი თავი-იგი მსოფლიოს ერთვის თავდავიწყებით, რომ მის წიაღში მონახოს თავისი „ატმანი“; იგი მუდმივი შვებაა: გაქრობა და წარმოშობა: იგი ზღვის ალივლივებული ჰაველია, რომელიც ყოველ ფორმაში გადადის, მაგრამ არც ერთში არა ჩერდება; მასში თამაშობს ძველი ქაოსი, ჯერ კიდევ ფორმაში არ გარდაქმნილი: მასში დევის ბნელი ბუნი, ჯერ კიდევ გონით არ განათებული. და სწორედ ეს დიონისური ვნებაა ტარიელის სიყვარული. იგიც მთვრალია სიყვარულის მსოფლიო გრძნობით, იგიც ვნებულია მისი სტიქიონით, იგიც თვალ-ახვეულია მისი ბნედით, იგიც ხელია, შმაგი, გიჟი... და როცა ავთანდილი ნახულობს მას შავს შამბში ღრმად; მიძინებულს, იგი განა ნამდვილს მძინარე დიონისოს არ გვაგონებს!!...

* * *

ასე უყვარს ტარიელს ნესტანი. მაგრამ რუსთაველი ამ სიყვარულზე არ შეჩერებულა. მას სწადდა სხვაგვარი სიყვარულიც გადაექსოვებინა იმა სიყვარულთან, და წადილი ასრულა კიდეც: ეს არის სიყვარული ავთანდილისა და თინათინისა, რომელიც შოთამ მეგობრობით დაუკავშირა ტარიელისა და ნესტანის სიყვარულს. რუსთაველი აქ შესანიშნავი ხელოვანია, რომელმაც სიყვარულს საუცხოვო და თავ-შეწირული მეგობრობა წარმოაშობინა. მშვენიერია ტარიელი, ნესტანის სიყვარულით ველად გაჭრილი; მაგრამ არა ნაკლებ მშვენიერია ავთანდილი, ტარიელის მეგობრობით ნესტანის საძებნად წასული.. ავთანდილს უყვარს თავისი თინათინ, მაგრამ მას ტარიელიც უყვარს: „იადონი რისთვის მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭკნაროს; ჰხამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოვლიგნით აროს“ (ტ. 744). და ავთანდილი, ეს ნელი და ნათელი იადონი, გარს ევლება და ცვარს უძებნის ტარიელს, ვარდსა უმზეოდ ჭკნობილსა. აქ ისახება მათი სხვადასხვაობა. თუ ტარიელი დიონისური ვნებით არის მთვრალი, ავთანდილი აპოლლოს მზეობით არის სხივ-შეჩერებული: იგი ფორმას აძლევს ტარიელის ვნებას; იგი თვალს უხსნის ტარიელის სტიქიონსა. და სიყვარულიც სხვადა სხვაგვარია მათი: ტარიელის სიყვარული მთით მოხეთქილი ჩქერია, ხოლო ავთანდილის სიყვარული ზღვას ჩაშვებული მზის სვეტი. ამ მხრივ ავთანდილი ნამდვილი ბრძენია, რომელმაც კარგათ იცის, თუ რა არის ნამდვილი სოფელი, და რა არის წარუვალი განგება,—და იგიც მიენდობა მხოლოდ და მხოლოდ განგებასა, რომელიც, მისი აზრით, მშვენიერებით გამარჯვებული სიყვარულია მარტო მისი ანდერძი რად ღირს, რომელშიაც რუსთაველმა სავსებით გადმოგვიშალა თავისი სხივმოსილი მსოფლმხედველობა. და უყვარს რუსთაველს ავთანდილი ტარიელთან ერთად, უყვარს ავთანდილური სიყვარულით: იგი უცქერს მას, ნესტანის საძებნად გაჭრილს, უმზერს მას, მომღერალს, რომლის „სმენად მხეცნი მოვიდიან“ (ტ. 947). და ტარიელიც საუცხოვო პასუხს აძლევს მისთვის თავ-შეწირულ ავთანდილსა: „ვითა მზე მთისა წყარომან, მორწყე ყვავილი ბარისა, დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაგუბარისა“ (ტ. 1329)... ჭეშმარიტად გარდაქმნის ქვეყანას ასეთს მშვენიერებაში წარმოშობილი სიყვარული...

* * *

ასეთია მშვენიერებით სულდგმული სხეული და მისი უზენაესი სიყვარული რუსთაველის შემოქმედებაში. იგი სხეული ლამაზია და იგი სიყვარული მშვენიერი,—და რუსთაველის ქმნილება მართლაც რომ სრულ-ქმნილია.. „სხეული ფორმაა ბუნებისა, მისი ნამდვილი „სიტყვა“, და შემოქმედი, რომელიც სწვდება სხეულის სილამაზეს, ჰქმნის მომხიბლველ მხატვრულ ფორმასა. ელლინთა გენიამ იგრძნო უკანასკნელი სიღრმით იგი სილამაზე სხეულისა და მან შეჰქმნა სრულნი ფორმანი ჯადოსნური შემოქმედებისა. რუსთაველმაც იგრძნო იგი სილამაზე, იგრძნო ელლინური გრძნობით, და მანაც შეჰქმნა ყოვლად სრული მხატვრული ფორმა... ღვთიური ხელოვანია იგი ფორმისა.. ადამიანის ტრაღიზმს, სხვათა შორის, ისიც შეადგენს, რომ მისი შინაგანი განცდა ვერ ჰპოულებს შესაფერ გარეგან სახეს: ფორმა ძვირად ეთვისება შინა-არსსა, იდეა თხოულობს სხეულს-სახეს მაგრამ მონახავს იგი თუ არა იმა სხეულს, მასში ვით სარკეში, სახე მისი მახინჯათ ეჩვენება, და ამსხვრევს იგი იმა სარკეს, და ეძიებს იგი ახალს სახეს. ღმერთი სახიერდება, მაგრამ სახე მისი ხშირად კერპად იქცევა და ერთხელ სათაყვანებელი ახლა შერცხვენასა და ზიზღს იწვევს,—აი ერთგვარი ტანჯვა ადამიანის სულისა. ჭეშმარიტი შემოქმედი არის ის, ვინც იდეას სრულად ასახიერებს, ვინც ნამდვილ ფორმაში ასხამს შინა-არსსა. რუსთაველი ამ მხრივ ნამდვილი შემოქმედია: მის აზრს სწორედ თვისი სიტყვა მოუნახავს, მისი სიტყვა სწორედ თავის თავის ხორცში ჩამოსხმულა. რუსთაველი ბრინჯაოს ჩამომსხმელია და მარმარილოს მკვეთელი: ლექსი მისი ფოლადის მტკიცე ნაჭედია და მარმარილოს სრული ნაკვთი.. დიახ, რუსთაველი სიტყვის მქანდაკებელია: თვით ღვთიური მოქანდაკეც ვერ გამოჰკვეთდა მარმარილოში ისეთს სრულს ნაკვთს, როგორიც არის რუსთაველის კვეთილი სიტყვა და სხმული ლექსი... ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია რუსთაველის მადლიანი შემოქმედი ხელი...

* * *

სწორეთ აქ არის რუსთაველი ნამდვილი გენიოსი... მაგრამ ამას „მაგრამს“ უკეთებენ მრავალნი... ამბობენ: ეს მხოლოდ ფორმაა, შინაარსი კი გადმოღებულია, არაკი ნათარგმნებიო... ამ შენიშვნით უნდათ მოსპონ რუსთაველის შემოქმედებითი ორიგინალობა... მაგრამ სცდებიან და სცდებიან ძლიერ... არაკის აღება სრულებით არ სპობს მხატვარის ორიგინალობას: პირიქით, მრავალ გენიალს ქმნილებათა არაკნი ხალხურ თქმულებათაგან არიან აღებულნი... ჰომიროსის პოემანი თავითგან ბოლომდე ელლინთა მეტყველებული მითოლოგიური თხრობანით არიან აღძრულნი და ამეტყველებულნი; არც ერთი დრამა შექსპირისა არაკის მხრით არ არის საკუთრად მის მიერ ნაზრი... მაგრამ ვის შეუძლიან უარყოს ჰომიროსის ან შექსპირის ორიგინალობა და გენიალობა!! აქ საქმე სულ სხვაა... გენიოსი იღებს (და კიდეც უნდა იღებდეს) ხალხთა მიერ საუკუნოებში ნაზრახს არაკს (მითს, ლეგენდას, ზღაპარს), მაგრამ იღებს არა როგორც მლექავი მონა, არამედ როგორც თავისუფალი შემოქმედი: იგი ერთი მადლიანი ხაზმოსმით სრულიად სცვლის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სრულიად გარდაქმნის არაკსა... ავიღოთ მაგალითი: ბიბლიური მოთხრობით, ჰეროდეს ცოლის შთაგონებით მოითხოვს სალომე მოკვეთილს თავს იოკანაანისას, ხოლო ოსკარ უაილდის მხატვრული ინტუიციით თვითონ უარყოფილი სალომე თხოულობს უარმყოფელის თავის მოკვეთას. ამით სრულიად იცვლება თვითონ აღმოსავლეთით აღებული არაკი ამ შესანიშნავი დრამისა. მეორე უფრო თვალსაჩინო მაგალითს ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ წარმოადგენს. მრავალი ხალხური თქმულება უთხრობდა ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულს, მრავალი მგოსანნი აკენსებდნენ ჩანგს ამ შეყვარებულთა ტრაღიზმითა, მაგრამ მხოლოდ ვაგნერმა შესძლო საუკუდამოდ ჩამოესხა ეს მრავალჯერ თხრობილი არაკი... (ვაგნერამდე ყოველი თხრობა ტრისტანისა და იზოლდის სიყვარულისა რაღაც ზერელეს წარმოადგენდა: გმირს ტრისტანს მიჰყავს ბიძისათვის მშვენიერი იზოლდა, მაგრამ გზაში შემთხვევით სლიან

---

*) „ზღაპრად“ „ოცნებად“ ამ ნაცრის ფერ ძვალთა ხროვად ჩვენი წარსული აქვს სახეში ავტორს, რადგან ამ ეპიტეტებით ამკობდნენ ჩვენს წარსულს მისი მოკამათენი. კ. ა.

ითხოვს, რომ დარჩეს ამ ჩარჩოებში და იქ განავითაროს თავისი კულტურული ძალები. ეროვნული ტერიტორია, ეროვნული სკოლა მისი ფართო მნიშვნელობით, ეროვნული თვითმმართველობა ამ კულტურულ განვითარების აუცილებელი პირობებია. ამ ნიადაგის გარედ დგომა კულტურულად გადაგვარებამდე მიიყვანს მას და ამ გადაგვარების ნიშნებს უკვე ვხედავთ დღესაც.

◆

ეროვნული შემეცნება მოვიხმაროთ არა კლასთა ანტოგონიზმის დასაფარავად, არამედ ხალხურ კულტურის ასაყვავებლად, რომელიც აუცილებლად ეროვნულ ფსიხიკის ატმოსფერაში უნდა ვაწარმოვოთ.

◆

ეროვნული ფსიხიკა ჩვენს თვალში არც ფეოდალური ფსიხიკაა, არც ბურჟუაზიული, თუმცა ამ ორ ელემენტის გავლენაც უნდა ყოფილიყო. საჭიროა გახდევნა ამ ელემენტისა და განწმენდა ეროვნულ თვითშემეცნებისა ხალხოსნურის და ხალხთა სოლიდარობის იდეალებით.

◆

ფსიხოლოგიურად შეუძლებელია ცოცხალ ხალხისათვის პროტესტი არ განაცხადოს, როდესაც მის არსებობას ეხებიან, სიცოცხლის სურვილი არ ალიაროს და ზურგი არ მიუბრუნოს იმ განყენებულ შორეულ და საეჭვო მომავალს, როდესაც ვითომ და წარმოიშვება ახალის ფორმაციის ეროვნება, რომელშიაც იგი შევა, როგორც შემადგენელი ელემენტი.

რუსეთი

გიმნაზიელთა საქმე.

შეპყრობილ გიმნაზიელთა საქმემ ფრიად დააინტერესა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი და შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი. ამ დღეებში, „დენის“ სიტყვით, თათბირი მოხდა მაკლაკოვსა და კოკოვცევს შორის. უნდა გამოერკვიათ მათ, თუ საქმისთვის რა მსვლელობა მიეცათ. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ბელეცკიმ წარუდგინა თათბირს მოხსენება და გამოძიების ყოველგვარი მასალა. თანახმად გამოძიებისა, ბელეცკი ადასტურებს, რომ საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა შორის არსებობდა ორგანიზაცია, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენიც ჰხელმძღვანელობდნენ. მაგრამ პოლიციის ცნობები საკმაო მასალას არ იძლევიან ზოგიერთ დაპატიმრებულ მოსწავლის დანაშაულობის გამოსარკვევად. მოხსენება საბუთებას მხრივ სუსტია. თვით ბელეცკი აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა ორგანიზაციის საქმე „ფრიად დახლართულიაო“. კოკოვცევმა ის აზრი გამოსთქვა, რომ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ის მოსწავლენი, რომელთა დანაშაულობაზე ან სრულებით არ მოიპოვება დასამტკიცებელი საბუთები, ან და თუ მოიპოვება, ფრიად უმნიშვნელო და არა პატივსადები. ამ აზრს მაკლაკოვიც დაეთანხმა. საკითხი საბოლოოდ კასოს პეტერბურგში დაბრუნებისას გადასწყდება.

„დენი“-ის სიტყვით გიმნაზიელთა საქმის გამო დაპატიმრებულ ქალ შკაპსკის საქმე ფრიად ცუდად არის; ავადმყოფობამ, გულის სიდამბლემ ციხეში უფრო უმატა, რამდენჯერმე შეუწუხდა ციხეში გული ერთხელ იატაკზე თავი გაიტეხა გულის შემოყრის დროს, ერთხელ კანალამ ვანაში არ დაიხრჩო. საბრალო ქალი ისე დასუსტდა ციხეში, რომ სხვის დაუხმარებლივ გავლა არცკი შეუძლიან. მისი დედა ველარ სცნობს საკუთარს ქალს, ისე გამოცვლილა ამ მცირე ხანში.

მოსწავლეთა ჩხრეკა და დაპატიმრება.

მოსწავლეთა შორის ჩხრეკა და დაპატიმრება პეტერბურგში კიდევ სწარმოებს. აპატიმრებენ სრულიად უმნიშვნელო საქმისთვის. მოსწავლეთა ამხანაგების გულუბრყვილო წერილებს კონსპირაციის ხასიათს აძლევენ. ჩხრეკა და დაპატიმრება გასცილდა პეტერბურგს და რუსეთის პროვინციებსაც მოედო. ამგვარივე ჩხრეკა მოხდა ვოლოგდაში.

„პრავდა“-ს რედაქციის გაჩხრეკა.

19 აპრილს, ღამის პირველ საათზე დამცველ განყოფილების განკარგულებით ჟანდარმებმა და პოლიციამ გაჩხრიკეს გაზეთ „პრავდას“ რედაქცია და სტამბა. მათ შეაჩერეს მუშაობა,—დაუწყეს ჩხრეკა დედნებსა და ხელნაწერებს; გაჩხრიკეს აგრეთვე ყველა ასოთ-ამწყობი და გაზეთის მომუშავენი. საყურადღებო არაფერი აღმოუჩენიათ. დილის ხუთის ნახევარზე ჩხრეკა გათავდა,

გაფიცვა.

დღესასწაულების შემდეგ პეტერბურგის მუშებში კვლავ იჩინა თავი მოძრაობამ. ზეკმანის ქარხნის მუშებმა ადმინისტრაციას მოსთხოვეს ერთი მუშის დათხოვნა, რომელიც ამხანაგებმა კეთილ საიმედოდ ვერ იცნეს. ადმინისტრაციამ დაკმაყოფილება აღუთქვა. ჩუბერის საფეიქრო ფაბრიკაში 350 მუშა გაიფიცა. გაფიცულთ ჯამაგირის მომატება მოითხოვეს. რეზინის ქარხნიდან ყველა გაფიცული მუშა დაითხოვეს. გაფიცვები იმართება სხვა ქარხნებშიაც.

ორნივე სიყვარულის გრძნეულ სასმელსა, და შემთხვევით შეყვარებულნი მიეცემიან უზომო ტანჯვასა. ასეთია მთავარი მოტივი ამ ფაბულის, ვაგნერამდე არსებულისა. ვაგნერმა კი ერთი მადლიანი ხაზგასმით შესცვალა იგი ფაბულა და გაალრმავა ტრაღიზმი მასში დასახული სიყვარულისა; ტრისტანსა და იზოლდას შემთხვევით კი არა, ნამდვილად შეუყვარდებათ ერთმანეთი, და სასიყვარულო სასმელს მხოლოდ სიკვდილშიაც შეერთეპისათვის იგემებენ. ამით სრულიად გარდაიქმნა იგი ფაბულა და ჩამოისხა სამუდამოდ. რაღა შორს წავიდეთ: ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელში“ ხალხის თქმულებიდან აღებული არაკი გარდაქმნილია მხატვრულად! ესევე შეიძლება ითქვას გიოტეს „ფაუსტზედაც“. საზოგადოთ: ხალხი ჰქმნის საუკუნოებით რომელიმე თქმულებას, რომ შემდგომ, ან ბოლოს, მისმა ნიჭიერმა შვილმა საუკუნოდ განამტკიცოს იგი.. ესევე უნდა ითქვას რუსთაველის შესახებაც: მას სრულიად უნდა გარდაექმნა აღებული არაკი, რადგან იგი ნამდვილი შემოქმედია... რუსთაველის ორიგინალობის მოწინაალმდეგენი მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ მართალნი, თუ მას დაამტკიცებდნენ, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ამბავი, რუსთაველამდე თხრობილი და შემდგომ რუსთველის მიერ ვითომ “ნათარგმანები“, თავის დამახასიათებელ მუხლებში უცვლელია და განმეორებული.. მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ დაამტკიცებენ, — ვერ დაამტკიცებენ, რადგან ფორმა რუსთაველის ქმნილებისა არ არის უბრალო „გალექსვა“ უკვე ქმნილისა, არამედ შემოქმედი ენერგია გარდამქმნელისა“. ვეფხის-ტყაოსნის არაკი, რუსთაველამდე თხრობილი, ეს მხოლოდ ცივი მარმარილოა, რომელიც მქანდაკებელს სრულს ფორმაში ჩამოუსხამს: იგი ფორმაა, რომ სულს უდგავს მარმარილოს, უძრავსა და მკვდარს, თორემ თავისთავად იგი უბრალო ნივთიერების მეტს არას წარმოადგენს“.

* *

ასეთია რუსთაველის ქმნილება: შვიდმა საუკუნემ საშინელი სისასტიკით გადაურბინა მას თავს, მაგრამ ვერარამ შესძლო მისი დამსხვრევა: იგი ამაყ სალ-კლდეთაა ამართული, რომელსაც ტყვილა ასკდება ქაფმორეული ტალღა დროთა უკუღმართობისა.. შვიდი საუკუნის განმავლობაში ქართველობა სწორედ ამ სასწაულმოქმედი ქმნილებით იდგამდა სულს: იგი ხომ უზენაესი გამოთქმაა ქართველთა გენიისა, და აი, ქართველობაც ნახულობდა მასში თავის სულის ყოველნაირ გამოძახილს! ტანჯვას და შვებას, გმირობას და სიყვარულს, ტარიელობას და ავთანდილობას.. და მისგან ცხოველყოფილი, იგიც, ქართველობაც, ცოცხლად ინახავდა „ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტს“: ცალ ხელში ხმალი ეჭირა მტერთა მოსაგერებლად, მაგრამ მეორე ხელში კალამი ეჭირა, რომლითაც იგი თაობითგან თაობას გადასცემდა იმა ქმნილებას და მით იცავდა მას გაქრობისაგან „დიახ, რუსთაველით იქმნებოდა ისტორიული ტრადიცია საქართველოს სულიერი მთლიანობისა: ქართველის სული რუსთაველის გენიით განაგრძობდა სიცოცხლეს.. ამით თვითონ რუსთაველიც ცხოველი და უკვდავი რჩებოდა ქართველში.. დღეს კი ბნელი ბურუსი გვიდგას წინ და საშინელი ფიქრი მოიცავს სასოკვეთილს სულს: ვაი, თუ რუსთაველი, ისედაც ობოლი, კიდევ უფრო დაობლდეს და გახდეს მხოლოდ საისტორიო მასალად! მოდიოდეს ვინმე უცხო ფილოლოგი და ჩვენ ნანგრევებში ეძიებდეს ცხოველმყოფელ სიტყვას, რომლითაც რუსთაველი ველად გაჭრილ ტარიელს ლექსს უმღეროდა“ ნუ იქმნებინ ესე!

გრიგოლ რობაქიძე.

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო

22 აპრილი.

ბალკანეთის ომი

ათინა. ათინის სააგენტო უარჰყოფს უცხოეთის გაზეთების ცნობებს, ვითომც ესად-ფაშასა და საბერძნეთს შორის კავშირი ყოფილიყოს შეკრული: საბერძნეთს ესად-ფაშასთან არავითარი მოლაპარაკება არ გაუმართავს და არც კავშირი დაუჭერია მასთანო.

ცეტინიე. სარწმუნო ცნობებით ნიკოლოზ მეფემ სკუტარის საკითხის გადაწყვეტა დიდ სახელმწიფოებს მიანდო.

ვენა. ცეტინიედან მოსულ ხმებით, ნიკოლოზ მეფეს სკუტარის განთავისუფლება გადაუწყვეტია.

ბერლინი. (საჩქარო). ჩერნოგორიის მეფე დასთანხმდა უსიტყვოდ განწმინდოს სკუტარი.

ცეტინიე. მეფემ სურვილი განაცხადა, დააკმაყოფილოს დიდ სახელმწიფოთა სურვილი სკუტარის შესახებ. მარტინოვიჩის კაბინეთი გადადგა.

ომი და სახელმწიფონი

რომი. ალბანეთში გასაგზავნ საექსპედიციო კორპუსის უფროსად ასახელებენ გენერალ ნავს.

ათინა. გაზეთი „ესტია“ ამბობს: მოკავშირეებს არ შეუძლიანთ უმნიშვნელოდ მიიღონ დიდ სახელმწიფოთა პასუხი ეგეის კუნძულთა და ალბანეთის საზღვრების სვე-ბედის თაობაზე. მოკავშირენი მზად არიან შესწყვიტონ საომარი მოქმედება და საშვიდობო მოლაპარაკებას შეუდგნენ; მაგრამ, როგორც ეტყობათ, განზრახვა აქვთ დაბეჯითებით მოითხოვონ თვისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ბერლინი. პოლიტიკოსთა წრეში უნდობლად ეკიდებიან ჩერნოგორიის მეფის განცხადებას; ამასთანავე აღნიშნავენ, რომ საჭიროა მოუცადონ სკუტარის ფაქტიურ განთავისუფლებასო. ამავე აზრს გამოსთქვამს პრესა.

ლონდონი. ელჩთა კონფერენციის სხდომა 5½ საათზე დასრულდა. სხდომის შემდეგ რეიტერის სააგენტომ საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან შემდეგი ცნობები მიიღო: ჩერნოგორიის მეფის განცხადება, რითაც სკუტარის საკითხის გადაწყვეტას დიდ სახელმწიფოებს ანდობს, მთავრობის დიდ კმაყოფილებას იწვევსო. დიდი სახელმწიფონი მსჯელობას იქონიებენ, რა ზომები მიიღონ სკუტარის საკითხის გადასაწყვეტად. ელჩთა თათბირის შემდეგი კრება ხუთშაბათს მოხდება.

ლონდონი. ქვედა პალატა. ასკვიტმა განაცხადა: ჩერნოგორიის მეფემ ცნობა გადმოგვცა, რომ იგი ანდობს დიდ სახელმწიფოთ, სკუტარის საკითხის გადაწყვეტას. ეს ცნობა სიამოვნებით უნდა მივიღოთ. ნიკოლოზ მეფე მისალოცია ამ გვარ გადაწყვეტილებისათვის, რაც სამჯობინაროა, როგორც მის ქვეყნის ინტერესებისთვის, აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობიანობისთვისო.

პარიზი. ჰავასს ლონდონიდანატყობინებენ: ჩერნოგორიამ აცნობა ინგლისის მთავრობას: რადგანაც ჩერნოგორიის ღირსება ნებას არ აძლევს დაემორჩილოს განცალკევებულს დემონსტრაციას, იგი სთანხმდება და სკუტარის საკითხის გადაწყვეტას დიდ სახელმწიფოებს ანდობს.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატის სხდომები განახლდა, ოპოზიცია ჯერ კიდევ არ ესწრება სხდომებს. სხდომამ მშვიდობიანად ჩაიარა. მინისტრ-პრეზიდენტმა ლუკაჩმა შემდეგი განაცხადა: ეხლახან მიღებულ ცნობით, ჩერნოგორიის მეფეს გადაუწყვეტია სკუტარი გაანთავისუფლოს. მეტია იმის თქმა, რომ ეს სასიხარულო შედეგი ავსტრია-ჰუნგრეთის მონარქიის მტკიცე მეცადინეობით არის გამოწვეული. ამგვარივე სიმტკიცით და შეურყევლობითო, დაათავა ლუკაჩმა, მონარქია მოითხოვს რომ გადაწყვეტილება დაუყონებლივ განხორციელდესო. ძლიერი ტაშის ცემა და აღფრთოვანება. ხმები: „გაუმარჯოს მეფეს“!

არეულობა პორტუგალიაში.

ლისაბონი. ასი უნტერ-ოფიცერი და კერძო პირნი, რომელნიც მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში მონაწილეობისთვის შეიპყრეს, ანგრაში იგზავნებიან, აზორის კუნძულებზე, სადაც მათ გაასამართლებენ.

რაბატი. მანჟენის რაზმი, 15 და 16 აპრილს, ფიცხელ ბრძოლის შემდეგ უმერებიუს ველზე გამარჯვებული დარჩა. მტერი უკუ აქცია. მოპირდაპირე ატლასის მთებში შეიხიზნა. ფრანგებს 15 კაცი მოუკლე.

პეკინი. მთავრობის უკმაყოფილო ზოგიერთი პოლიტიკური პარტია სცდილობს მღელვარება გამოიწვიოს მცხოვრებთა შორის; ამის გამო პრეზიდენტმა განკარგულება გასცა რათა პროვინციებში, ფხიზელი თვალყური ადევნონ საზოგადო წესრიგის დამრღვევლებს და სასტიკი ზომები მიიღონ მათ წინააღმდეგო.

ტოკიო. კადოკატეში ცეცხლმა 2,500 სახლი გაანადგურა.

პარიზი. გამოვიდა პირველი ნომერი კლემანსოს გაზეთისა: „Homme libre“.

რ უ ს ე თ ი.

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალური ცნობა. ამ ბოლო დღეებში გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები მოსწავლეთა შორის ჩხრეკა-დაპატიმრების თაობაზე; ამასთანავე გაზეთების უმრავლესობა სცდილობს უკანასკნელი ჩხრეკა-დაპატიმრება დაუკავშირონ 1912 წ. 9 დეკემბერს ვიტმერის გიმნაზიაში მომხდარ ჩხრეკას და დაპატიმრებას. ნამდვილად კი უკანასკნელი ჩხრეკა-დაპატიმრება პეტერბურგსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში შემდეგით იყო გამოწვეული:

1912 წელს, აპრილში, პეტერბურგში აღმოაჩინეს პროკლამაციები აქამდე უცნობ სარევოლიუციო ორგანიზაციისა, რომელიც ირქმევდა სახელად „სარევოლიუციო კავშირის დამფუძნებელი ჯგუფი“. ამ ჯგუფმა მიზნად დაისახა არსებულ წესწყობილების დამხობა. გასულ წლის 15 მაისს ზოგიერთი მონაწილენი შეიპყრეს და საქმის გამოსაძიებლად გადასცეს პეტერბურგის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს. მაგრამ ამის შემდეგაც სარევოლიუციო კავშირი განაგრძობდა [illegible] წლის თებერვალში გამოსცა მოწოდებანი, რომელიც გარდა შეურაცყოფისა ხელმწიფე იმპერატორისა და უკმეხ-უპატივისმცემლობისა უმაღლეს მთავრობისადმი, შეიცავდა მოწოდებას „სამეფოს მთავრობის დამხობას“ და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისას. ამის გარდა პოლიციას მოუვიდა ცნობა, რომ სარევოლიუციო კავშირი კისრულობს 4 აპრილს მოახდინოს პეტერბურგის ფაბრიკებსა და ქარხნებში გაფიცვები და ქუჩებში დემონსტრაციები. ამ მიზნით სხვა სარევოლიუციო კავშირების დახმარებით გამოიცა მოწოდება. ამ ცნობებმა აიძულა დამცველი განყოფილება მოეხდინა უკვე ცნობილი ჩხრეკა-დაპატიმრება. მათ შორის აღმოჩნდა ორი კაცი, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვნენ ვიტმერის გიმნაზიაში, ჩხრეკის დროს. სულ დაპატიმრებული იყო 31 კაცი და გაჩხრეკილი 40. ბევრს აღმოაჩნდა მოწოდებანი და პროკლამაციები, რაც მათ სარევოლუციო მოღვაწეობას ნათელჰყოფს. მათი მიწერ-მოწერა გადაეცა დამცველ განყოფილებებს და ჟანდარმთა სამმართველოს, სადაც მოხდება ფორმალური ჩვენების ჩამორთმევა სისხლის სამართლის წესდების 1035 მუხლის ძალით; მათი დანაშაულობა განხილული იქნება სისხლის სამართლის დებულების 102 მუხლის ძალით.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 23 აპრილს, „ახალი კლუბის“ მამასახლისთა დადგენილებით გაიმართება სიმფონიური საღამო, რომელშიაც მონაწილეობს ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორი, ცნობილი პიანინოს დამკვრელი და კომპოზიტორი ბ-ნი ნ. დ. ნიკოლაევი. შესრულებულ იქნება მუსიკალური ნაწარმოებნი ბ-ნ ნიკოლაევისა.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჟუმბაძე.

ავადმყოფთ

„სპერმინ-პელა“-ს მხარებელ ავადმყოფთ დიდ იმედიან რეკლამებით სცდილობენ მიაღებინონ თესლეულის გამონაწური სხვა და სხვა სითხე. ამ რეკლამებში ყოველად მოურიდებლად ამახინჯებენ ფაქტებს და იმოწმებენ უცხოეთის სხვა და სხვა მეცნიერთ, **რომელთაც არაფერი არ უნახავთ ეს წამლები**. ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ამ კუტოშებისა და სხვა გამომწვევ საშუალებათაგან, რადგანაც ის წამლები, რომელთაც „სპერმინ-პელას“-თან საერთო არა აქვს რა, ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთიერებას შეიცავს.

ნერვები აშლილობისა, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცებულობის დაჩაჩანაკებისა, ისტერიისა, ნევრალგიისა, სისხლნაკლებულობისა, ჭლექისა, თამბაქოსა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის ძმარვა, გულის სისუსტე), ძარღვების დადუნებისა, ლოთობისა, წელკავისა, სიდამბლისა, გავლილ ავადმყოფობისაგან გამოწვეულ დაქანცულობა-უღონობისა და სხვა შემთხვევის დროს, მხოლოდ **სპერმინ-პელა** აღწევს იმ თვალსაჩინო შედეგამდე, რასაც ადასტურებენ მთელი ქვეყნის ცნობილ მეცნიერთა და მკურნალთა გამოცდილება.

ყურადღება უნდა მიაქციოთ თვითონ სახელწოდებას **სპერმინ-პელა** და არ მიიღოთ არც ერთი გამოსაწვევი რამ საშუალება, არც ათასნაირი სხვა და სხვა სახელწოდებიანი სითხე, რომელთა უვარგისობის თაობაზე გამოცემულია ცალკე წიგნაკი და მსურველთ უფასოდ ვუგზავნით, **სპერმინზე** ახლად დაწერილ წერილებთან ერთად.

სპერმინ პელა ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში იშოვება.

ორგანოტერაპეტიული ინსტიტუტი
პროფესორი ექ. პელ შვილებით
მის იმპერატ. უდიდებულ.
იჯარადარნი
ს. პეტერბურგი.
1479 1068

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი. 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ვენერიული ავად.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.
1004

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს სიფილის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ტელ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ქალაქის საავადმყოფოები
მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ველაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩრქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

განსაკუთრებით ქალების საერთო
ახალი აბანო
ბუნებრივი გოგირდის წყალი, ორი ცხელი ვანით, საგრილობელით, ელექტრონის განათებით და ყოველგვარ ახალ სატეხნიკო მოწყობით. ფასი შაურიდან სამ შაურამდე. ვორონცოვის ქუჩაზე, მარჯვნით სუფ-სარქისის შესახვევი, მეხუთე საპოლიციო ნაწილის პირდაპირ, № 4.
ა. ბ. მურსაქულოვისა. 240

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ოქროს საათი
[illegible]
სრულიად არ არის საჭირო, ოქროს საათის ნაცვლად რომელიც 200 მანეთი ღირს გირჩევთ გამოიწეროთ პირობით ბერლინიდან ფრანგული ოქროს საათი სისტ. „ქრონომეტრი“ იგი ფორმით და სიმშვენიერით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება და ღირს მხოლოდ 4 მ. ეს საათები, ქალისა თუ კაცისა, ფრიად პრეწყვილია. 2 სახურავიანი, მოვარაყებული ფრანგული სქელი ოქროთი 8 კარატ., იკეტება ელექტრონით. საათის მექანიზმი საუკეთესო ღირსებისა, ქვებით, მომართვა „რემონტუარი“ 40 საათში ერთხელ, გასწორებულ წუთობით. **ხუთს ვაძლევთ, რომ ათი წლის განმავლობაში სწორედ ივლის** ფასი 4 მანეთია; 2 საათ.—7 მ. 50 კ 4 საათ—14 მ. 25 კ. ვინც ჩვენგან გამოიწერს ამ საათს ყოველთვის მადლობელი იქნება ჩვენი. ყოველ საათთან ერთად **უფასოდ** გაეგზავნება: 1. მამაკაცებისთვის ორგანი ძეწკვი, ქალების ყელზე ჩამოსაკიდი, ნამდვილი ფრანგულ ოქროსი; 2. შანა, ზინოკლი პარიზის საინტერესო სანახაობით; 3. საათის ზამშის ბუდე. გაგზავნის ხარჯი 50 კ. (ციმბირში 75 კ.) შეკვეთისამებრ გაეგზავნებათ დაუყონებლივ და უბედ. ყველა ენაზე შეიძლება მოწერა შემდეგის მისამართით, რომელიც შეიძლება ან გადაიწეროთ ან ამოსჭრათ და მაგრ დააკრათ კონვერტზე (მარკა 10 კ.), ან ღია ბარათზე (მარკა 4 კ.).
მ ი ს ა მ ა რ თ ი:
Berlin 33—I Strumfeld
Берлинъ Klosterstr. № 42
გაფრთხილება! სიყალბის ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი საათი—ნამდ. **ხრონომეტრი**“-ს ციფერბლატზე წარწერით: „ბერლინი ხრონომეტრი“ Метцль 25104 1173.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კატოვ.) ხიზილალა
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მახარშული ღვინო, ზურგიელი, და ყოველგვარი
თევზის მრეწველნი
ძმ.
ჟიჟილოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.